საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბერთის გაცვანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 18 სექტემბერი. 2018 წ. №182 (8583) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სამშობლო – მხოლოდ ფულის კანტორა?!

ნუგზარ ფოფხაძე:

ვილაც-ვილაცებს ეს ქვეყანა ისეთი არეულობისკენ მიჰყავთ, რომ... დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში!

③

სალომე ზურაბიშვილი:

არც ახლა გჯერათ, ნაციონალებო?!

რუსეთი ოკუპანტია, ომი მან დაიწყო...

პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მის განცხადებებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა.

მისი თქმით, არავინ დავობს იმაზე, ვინ დაიწყო 2008 წელს ომი. მისი განცხადებით, ომი რუსეთმა დაიწყო. მისივე თქმით, რუსეთი ოკუპანტია და ამის განხილვა არ უნდა ხდებოდეს.

„რუსეთი ოკუპანტი და აგრესორია, ეს შემიძლია უსასრულოდ გავიმეორო, მეტადრე ჩემი ქართულით ვამბობ, ამას ვამბობ დაბადებიდან. რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია. იყო 1801 წელს, როცა დაარღვია მეფე ერეკლეს მიერ დადებული ტრაქტატი. 1921 წელს, როდესაც დაარღვია 1920 წელს საქართველოს სუვერენიტეტი და რის გამოც ჩემი წინაპრები წამოვიდნენ საქართველოდან და მე დავიბადე საფრანგეთში. ასევე, რუსეთი აგრესორი და ოკუპანტი იყო 2008 წლიდან და წელს, როდესაც კიდევ ერთხელ დაარღვია ის, რაც შეიძლება, ყველაზე კარგად ვიცი, ყველა საერთშორისო დოკუმენტი და ხელშეკრულება, სადაც რუსეთი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრების მთავარი მიზანი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რუსეთისგან დაცვა იყო, არის და იქნება!

ზურაბიშვილის განცხადებით, რუსეთის მიმართ მისი დამოკიდებულება 60 წელზე მეტია, უცვლელია.

„რუსეთის მიმართ ჩემი დამოკიდებულება, თუ ეს კიდევ ასახსნელია, 60 წელზე მეტია უცვლელია. საქართველოს გათავისუფლება იყო, არის და იქნება ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრების მთავარი მრწამსი, მიზანი და ოცნება, ასევე მისი დამოუკიდებლობის, თავისუფლების დაცვა და ვისგან დაცვა, ხომ ვერ მეტყვით — რა თქმა უნდა, რუსეთისგან დაცვა“, — თქვა ზურაბიშვილმა.

„სამეფო საინდელო“

ბ-6 ნუგზარ ბაგრატიონისა და მისი დაჯგუფების აღშფოთების ნამდვილი მიზეზი

5-7

ზუგდიდის ყოფილი მერი პროვოკაციის მსხვერპლი აღმოჩნდა!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვარ უდანაშაულო და გავრცელებული ჩანაწერი არის მიზანმიმართული პროვოკაცია ჩემ წინააღმდეგ, — ამის შესახებ ზუგდიდის ყოფილმა მერმა ლაშა გოგიამ ბრიფინგზე განაცხადა. მან საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ბოდიშიც მოუხადა იმ სიცრუისა და ფაბრიკაციის ტირაჟირებისთვის, რომლის გაჟღერებაც ბოლო დროს, მისივე თქმით, მიზანმიმართულად ხდებოდა.

ჩემთვის თანამდებობაზე ყოფნა თვითმიზანი არასდროს ყოფილა — ჩემი მიზანი იმ სიმართლის დამტკიცებაა, რაც მაქვს და მჯერა, ჩვენს ქვეყანაში არსებული ობიექტური გამოძიების პირობებში ეს უახლოეს პერიოდში დამტკიცდება. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე სხვა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, — განაცხადა გოგიამ. მისივე განცხადებით, ის მზად არის, საგამოძიებო ინსტიტუტებთან აქტიურად ითანამშრომლოს.

„გადავდექი მერის პოსტიდან, რათა არავის ჰქონდეს კითხვა, ჩემი თანამდებობაზე ყოფნით საქმის გამოძიებაზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილების მიღება და ამომრჩევლის დიდი ნდობის ვადაზე ადრე შეწყვეტა ჩემთვის ადვილი არ იყო, თუმცა საჭირო იყო ჩემი პრინციპებისა და სიმართლის დამტკიცებისთვის...

რა იზიდავთ ირანელებს საქართველოში?!

8



გაუქმდება თუ არა ევროკავშირში „საათის გადაწევა“?

11

ბოლო წლებში 9.700 ჰექტარი ტყე გაქრა!

9

ქვეყნის მასშტაბით ტყეს 63 კომპანია ჩეხს!

პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ხელისუფლებამ დაუშვა ან დიდი შეცდომა ან ჩაიდინა დიდი დანაშაული!

საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი რუსეთ-საქართველოს ომზე გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს. აცხადებს, რომ მისი განცხადებების არასწორი ინტერპრეტაცია სწორედ მისი ოპონენტების ინტერესში შედის.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, რუსეთი აგრესორია და ის შემოიჭრა 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე. ის ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი და მაშინდელი ხელისუფლება რუსეთის პროვოკაციას წამოეგო.

„მე, როდესაც ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, არ ვამბობ, რომ საქართველო არის დამნაშავე, არ ვამბობ, რომ საქართველომ დაიწყო ომი, არ ვამბობ, რომ რუსეთი არ არის აგრესორი და ოკუპანტი. სიტყვებს აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ცოტა ძნელი გასაგებია, ვამბობ, რომ იმ დროინდელმა პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ დაუშვა ან დიდი შეცდომა ან ჩაიდინა დიდი დანაშაული, რის შედეგსაც ვიმკით ჩვენ, ჩვენი დევნილები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუცველი ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეები“.

ზურაბიშვილის თქმით, რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია. პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, ამის შესახებ მას არაერთხელ უთქვამს.

* * *

თუ ვინ არის მოღალატე, ეს სიტყვა არ მიყვარს და არ ვხმარობ და კიდეც მერიდება, რომ ვიხმარო იმათ მიმართ, მაგრამ ვიკითხოთ, ვინ დაარქვა ზემო აფხაზეთი კოდორის ხეობას და ცხინვალის რეგიონი და კონფლიქტური ზონა ვინ გააფართოვა, სამხრეთ ოსეთად ოფიციალურად მონათლა?

„ვინ დატოვა კოდორში მთელი ჩვენი იმდროინდელი შეიარაღება, ძვირადღირებული და ვინ დატოვა ტყეში ჩვენი ბიჭები? ამ კითხვებზე როცა გავცემთ ერთად პასუხს და ეს უთუოდ იქნება გასაცემი. ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, მე ვიქნები პრეზიდენტი თუ ვინ იქნება, (მაგრამ მე ვიქნები)! არის დამოკიდებული სხვა რამეზე, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს, ჩვენს წარსულზე, ჩვენს დანაშაულებზე, ჩვენი ხელისუფლების, რაც არის ჩვენი, სამწუხაროდ, ასე არის. ვიცოდეთ რეალობა იმიტომ, რომ ჩვენ წინ გვაქვს მომავალი, ჩვენ ამ მომავალში უნდა არა მხოლოდ საქმე ვაკეთოთ, არა მხოლოდ ეს ქვეყანა გავაძლიეროთ, არამედ უნდა გავამთლიანოთ და რომ გავამთლიანოთ ეს ქვეყანა, უნდა ჩვენს ძმებს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკაში, რომ კიდევ არ დამაბრალოთ კიდევ რამე, ყველა ჩვენს ძმებს უნდა მივმართოთ, რომ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები, რომ იმათ არ სჭირდებათ რუსეთის დაცვა ჩვენგან, რომ ისინი არიან ჩვენი მომავალი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

რატომ არ მოუსმინა მაშინდელმა ხელისუფლებამ პარტნიორებს და რატომ არ გამოაცხადა მაშინვე რუსეთი აგრესორად? — ასე მიმართა პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მედიის წარმომადგენლებს და მათ ამ კითხვების დასმისკენ მოუწოდა. ამის შესახებ მან საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას ისაუბრა...

◎ თვითმხილველის თვალით

ნაციონალები პოლიტიკური რეინკარნაციისთვის ყირაზე გადადიან...

უნამუსო, რომ ცხენზე იჯდა და ფეხებს ატყაპუნებდა, აფურთხებდნენ, და რა კარგი წვიმა მოდისო, არ იწმენდდა, ისეა სწორედ ნაციონალების და, კერძოდ, გაპრეზიდენტების ჟინით შეპყრობილი შუმი ნაციონალის, ყოფილი რუსეთის მოქალაქის გრ. ვაშაძის საქმე, რომელიც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, ევროპაში გაზრდილ და განსწავლულ სალომე ზურაბიშვილს იმას აბრალებს უსინდისოდ, რაც ამ ქალბატონს არ უთქვამს, ხოლო რაც თქვა, მე იმის უშუალო მოწმე ვარ, რაც მაშინ მოხდა.

მე მაშინ გორის ყოფილი მეხილეობის სამეცნიერო-სასწავლო და საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად ვმუშაობდი და ნამდვილად მართებული იქნება ვთქვათ, რომ ჩვენ მივეცით რუსეთს შემოჭრის საბაბი, ჩვენ-მეთქი, რომ ვამბობ, რასაკვირველია, უწინარესად მ. სააკაშვილს ვგულისხმობ.

7 აგვისტოს ღამით, უფრო სწორად, გამთენიისას სოფელ ვარიანის სატელევიზიო ანძის ტერიტორიიდან უშუალოდ მ. სააკაშვილის ბრძანებით რაკეტები გაუშვეს ცხინვალის მიმართულებით, რამაც მოსახლეობის დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

მე, როგორც ომის დაწყების უშუალო შემსწრე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ომი დიახ მ. სააკაშვილის უგუნური „მთავარსარდლობით“ დაიწყო. ოსებისგან გაფრთხილებულ და უკვე ჩვენს საზღვრებს მომდგარ რუსეთის ჯარსაც ეს უნდოდა. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო, სწორედ ისე მოხდა, 8 აგვისტოს ოსების დახმარების საბაბით შემოიჭრნენ სამაჩაბლოში რუსები და მერე, რაც მოხდა, ყველამ ვიცით.

ასე რომ, ნაციონალები ტყუილად ნუ აბრალებენ თავიანთი ბნელი მიზნების განსახორციელებლად ქალბატონ სალომეს, ომი საქართველომ დაიწყოო. ნაციონალები განგებ აიგივებენ მ. სააკაშვილს საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. როგორც მეორე მსოფლიო ომი გერმანელმა ხალხმა კი არა, ჰიტლერმა დაიწყო, ისე 8 აგვისტოს ომიც მ. სააკაშვილის კისერზეა.

არა მგონია, ნაციონალთა დაგვიანებულმა ადვოკატობამ ჰააგის ტრიბუნა აარიდოს სააკაშვილს, ხოლო დღემდე პასუხუგებელი ნაციონალების ბინძურმა პროპაგანდისტურმა ბუკ-საყვირმა — „რუსთავი-2“-მა მ. სააკაშვილის მონა ნ. გვარამიას ვაიდირექტორობით ქართველი ხალხი დაარწმუნოს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მოღალატეობაში.

არჩილ კაჭარავა,
აკადემიური დოქტორი
ტ. 599 13 96 57

მიხეილ ბატიაშვილი: მთავარი ამოცანაა, მშობელი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს, როდესაც მისი შვილი სკოლაში იმყოფება!

მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, რაც მანდატურების უფლებების გაფართოებას შეეხება.

„მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციის გაზრდა, მუდმივი გადამზადება, ტრენინგები. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის ჩართულობა. გათვალისწინებულია, რომ რაც შეიძლება აქტიურად იყვნენ ჩართულები არა როდესაც რაიმე ფაქტი მოხდება, არამედ პრევენციისთვის. 24 საათის განმავლობაში ცხელი ხაზი ფუნქციონირებს. გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ კიდევ გასაკეთებელია ამ კუთხით სამუშაოები, რაზეც ვმუშაობთ. ყველაზე მთავარი ამოცანაა, რომ მშობელი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს, როდესაც მისი შვილი სკოლაში იმყოფება“, — განაცხადა ბატიაშვილმა.

ყველაფერი გადაწყდება ხალხთან და ეკლესიასთან შეთანხმებით

ჩვენ აუცილებლად მოვუსმენთ როგორც საზოგადოებას, ისე ეკლესიას, პატრიარქს და ამის საფუძველზე მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებული კანონპროექტის შესახებ საუბრისას განაცხადა.

მარიხუანას კულტივაცია-რეალიზაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, ფართო კონსულტაციების შედეგად იქნება მიღებული და მისი მიღებისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ გადაწყვეტილების აღქმას საზოგადოების მიერ.

„ჩვენ, რაც მთავარია, ვუსმენთ საზოგადოებას, ეკლესიას, ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და კიდევ ერთხელ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გადაწყვეტილება ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად იქნება მიღებული ფართო კონსულტაციების საფუძველზე. ამაში იქნება ჩართული ფართო საზოგადოება, მათ შორის, ამაში იქნება ჩართული, რა თქმა უნდა, ეკლესია, და ასეთი კონსულტაციების საფუძველზე, მივიღებთ ჩვენ საბოლოოდ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესების შესაბამისი და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი.

ჩვენ მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც არის საზოგადოების ინტერესებში და ასევე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ამ გადაწყვეტილების მიღებისას, საზოგადოების აღქმასაც. ანუ, ერთია, საზოგადოების ინფორმირება, მეორეა მისი აღქმა, მესამეა გადაწყვეტილების შინაარსი. ყველა ამ საკითხს მიექცევა ყურადღება, როდესაც ჩვენ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ილია მეორე ირაკლი კობახიძეს შეხვდა

16 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი ილია მეორე პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს შეხვდა.

საპატრიარქოს ინფორმაციით, ილია მეორემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი უარყოფითი პოზიცია მარუხუანას კულტივაციასთან დაკავშირებით.

„მისმა უწმინდესობამ და დამსწრე სასულიერო პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ეკლესიის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მარიხუანას კულტივაციასთან (მოყვანასთან) დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ ქვეყანა იმ რისკებს ვერ გაუძლებს, რასაც ეს პროცესი გამოიწვევს“, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სალომე ზურაბიშვილმა თავისი სახელი დაარქვა რუსულ ოკუპაციას და იმ უმძიმეს დანაშაულს, რომელიც სააკაშვილმა და ვაშაძემ 2008 წელს ჩაიდინეს!

სალომე ზურაბიშვილმა ძალიან კარგად, შესანიშნავად განმარტა ყველაფერი, ზუსტად დაარქვა ყველაფერს თავისი სახელი. მათ შორის, კიდევ ერთხელ თავისი სახელი დაარქვა რუსეთის აგრესიას, რომელიც 2008 წელს განხორციელდა, თავისი სახელი დაარქვა რუსულ ოკუპაციას და ასევე, თავისი სახელი დაარქვა იმ უმძიმეს დანაშაულს, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ჩაიდინა. ეს არის დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს მაშინ მიხეილ სააკაშვილმა, გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც რუსეთის მოქალაქე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, რომლის შედეგადაც ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი დავკარგეთ. ეს დანაშაული „ნაციონალურ მოძრაობას“ აუცილებლად უნდა შევახსენოთ, თუმცა მთავარია, აქცენტი გაკეთდეს მომავალსა და ხედვაზე, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის საპრეზიდენტო არჩევნები „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სერიოზული მარცხით დასრულდება.

ვილაც-ვილაცებს ეს ქვეყანა ისეთი არეულობისკენ მიჰყავთ, რომ... დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში!

მთელი საქართველო გაოგნებული ადევნებს თვალს „ომეგა“-„იბერია.ტვ“-სთან დაკავშირებულ სკანდალს, რომლის „მთავარ გმირად“ ოსტატურად წარმოჩენილია სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი, მთელი ქვეყნის უსაყვარლესი დათო ყიფიანის ვაჟი ლევან ყიფიანი.

სურათი ასეთია: ყოფილი მაღალჩინოსანი ხელისუფლების „დავალებით“ და მისივე „სახელით“ აშანტაჟებს „ქართული“ ბიზნესის კაშკაშა ვარსკვლავს, სოციალურად გაჭირვებული ფენების უანგარო დამხმარეს, ჩვენი მწერლობის და კულტურის თავდაუზოგავ მოამაგეს და მეცენატს და ამით ებრძვის „თავისუფალ სიტყვას“, რომლის მებაირახტრე გახლავთ „იბერია.ტვ“, რომელსაც მეპატრონე „ომეგა-ჯგუფი“ ველარ აფინანსებს, იმიტომ, რომ ხელისუფლება ითხოვს ამ ჯგუფიდან გადასახადებს (51 მილიონს), არ მიდის არავითარ კომპრომისზე და... და რომ ამ „ოპერაციის“ მიზანია „იბერია-ტვ“-ს ხელში ჩაგდება და... ერთი სიტყვით, დემოკრატია საფრთხეშია და მიტინგები, დემონსტრაციები, ჟურნალისტთა სავარაუდო „გაფიცვა“, მაუწყებლობა „საგანგებო რეჟიმში“, ე.წ. მხარდამჭერთა მობილიზაცია და ეკრანზე მათი პროტესტები, ცნობადი სახეების – „პუბლიცისტების“, მსახიობების, მომღერლებისა და სხვა მოხალისეთა თუ პოპულარობის მაძიებელთა ღაღადი და ყველა სხვა „უბედურება“ სახეზეა.

არცერთ შემთხვევაში არ „ვიქექები“ მტყუან-მართლის გასარჩევი ფაქტების „სკივრში“. ალბათ, უკმაყოფილების თუ პროტესტის საფუძველი ორივე მხარეს აქვს, მაგრამ მე მაფიქრებს ერთი პრინციპული საკითხი, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი...

„ბრალდებულმა“ და „გალანძღულმა“ ლევან ყიფიანმა ფეისბუქზე გამოაქვეყნა მიმართვა მეგობრებისადმი. რომელშიაც წერს:

„მეგობრებო! შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭო. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, გისურვებთ წარმატებებს“.

ის ფაქტი, რომ ლევან ყიფიანმა უმალ არ მოახდინა რეაგირება „ომეგა-ჯგუფის“ მეპატრონეთა, იგივე საქართველოსა და აჭარის პარლამენტების დეპუტატთა საოჯახო დუეტის ემოციური და ფარული(!!!)ჩანაწერებით დახუნძლულ საბრალდებო გამოსვლებზე და შემოიფარგლა უმოკლესი მოსალოდნელი განცხადებით, ცალკე კითხვებს აჩენს.

„დეპეშის“ სტილში დაწერილი, ემოციებიდან და ფაქტებიდან აბსოლუტურად დაცლილი ეს პაწია განცხადება, პირადად მე მიმანიშნებს იმას, რომ ეს ე.წ. სკანდალი საპრეზიდენტო არჩევნების ბოლო დღემდე გაგრძელდება და მიიღებს უკვე „სხვა“ ელფერს, აშკარა პოლიტიკურ შეფერილობას. ჰოდა, „ცირკი“, აწი ნახეთ და „სეირი“. მთავარი დასკვნა კი ცხადზე ცხადია: ჩანაფიქრის მიზანი მიღწეულია! ესეც, „მონბლანი“!!!!

სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. ორივე მხრიდან ამაზრზენი! ვიმეორებ, ორივე მხრიდან. და ამას გამოკვეთილად იმიტომ მივანიშნებ, რომ ვინმე იდიოტს, რომლისთვისაც დამალული არ არის ჩემი სიახლოვე დიდი დათო ყიფიანის პირველ ოჯახთან, არ წასძლიოს სურვილმა დამაბრალოს ცალმხრივობა.

გამოძიება დაწყებულია! დეტალების გარკვევა, მტყუან-მართლის გარჩევა, ცილისწამებისა და სინამდვილის გამიჯვნა, პერსონაჟების როლის განსაზღვრა და საბოლოო განსჯა სამართალდამცავი სტრუქტურების პრეროგატივაა. დაველოდოთ!

მაგრამ, როგორც ზემოთ მოვახსენე მკითხველს, არის ერთი საკითხი, რომელზედაც აკვიატებულად ვფიქრობ, რომელსაც ვუკირკიტებ ეს დღეები და პასუხი ვერ მიპოვია. არადა ეს საკითხი, ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესია, რომელიც საზოგადოების განსასჯელია.

მკითხველს შევახსენებ, რომ წინა საპრეზიდენტო არჩევნების წინ წამოიჭრა და გაღვივდა „ძართული ოცნების“ წამყვან აქტივისტთა „აგენტობის“ თემა. გამოქვეყნდა მათი „გადაბირების“ ე.წ. დოკუმენტები. პრაქტიკულად დაიხატა სურათი, როცა მომავალ გამარჯვებულთა ელიტა მაშინდელ სუს-ს გადაბირებული ჰყავდა. და ეს „გამომზეურება“ მოხდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხი-ხუთი დღით ადრე. მიზანი მაშინაც „გაიშიფრა“: საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლა.

სულო ცოდვილო, გამიელვებს ხოლმე ფიქრი: მაშინდელი შეცდომები ხომ არ არის გათვალისწინებული და ახლა თადარიგი ადრიანად არის დაჭერილი. თავად განსაჯეთ: ამ „სკანდალის“ წამოწყება-გაფურჩქვნა რატომ „დაემთხვა“ პოლიტიკურად აქტუალურ და დაძაბულობით სავსე დროს, რატომ იქცა (ან გადააქციეს) ეს „სკანდალი“ საპრეზიდენტო არჩევნების თანხმლებ მოვლენად? ხომ არ უნდა მავანსა და მავანს სწორედ ამ არჩევნების ჩაშლა ანდა მისი ისეთი შედეგი, რომ...

ცალსახად ვერავის და ვერაფერს დავასახელებ. ვერც მივანიშნებ. ვიტყვი მხოლოდ ერთს:

პოლიტტექნოლოგიების პრაქტიკიდან თუ განვსჯით, უყოყმანოდ შეგვიძლია იმის თქმა, რომ აბსოლუტური, სრული, თავიდან ფეხებამდე პოლიტიკური კრეტინია (ერთის მხრივ) და საერთაშორისო რანგის ავანტიურისტი (მეორე მხრივ), ვინც ეს სპექტაკლი ჩაიფიქრა და განახორციელა სწორედ ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

დაამატეთ ამას ხორავას ქუჩაზე მომხდარი უბედურების გამოძიების საპარლამენტო კომისიის „კლოუნადა“, სამეგრელოს ცინცხალი კირუფციული „სკანდალი“, მარიხუანას „პლანტაციების“ გამაოგნებელი თემა, ნაჩქარევი საკანონმდებლო ინიციატივები და...

ისედაც ვერდალაგებული ქვეყანა ვილაც-ვილაცებს (!!!!), ზოგს „პოზიციის“, ზოგიც „ოპოზიციის“ მანტიაში გახვეულებს, ისეთი არეულობისკენ მიჰყავს, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ!

„პუტჩიც“, სამოქალაქო ომიც, „მხედრიონიც“, განუკითხაობის პერიოდიც, „ვარდების რევოლუციაც“, ე.წ. „7 ნოემბერი“, კოდორი...ამ მოვლენების შედეგია ქართული მიწების 20 პროცენტის დაკარგვა, საჯიშე ბიჭების უგუნური სისხლისღვრისთვის შეწირვა...

გავლით კი გავიარეთ, მაგრამ ჭკუა ვერ ვისწავლეთ, ადეკვატური დასკვნები ვერ გამოვიტანეთ. იმ ბრიყვებსაც ვერ გავუტოლდით, რომლებიც მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ.

...და ყველა ეს სისულელე, ყველა ეს უგუნურება, ერის წინაშე ყველა ეს დანაშაული ამოფარებული იყო და არის სამშობლოს „სიყვარულის“, მისთვის „თავდადების“ ნიღაბს.

სამშობლო კი არა... კვატი!

მივმართავ მავანთ: არ გიყვართ თქვენ ეს ქვეყანა, რომელიც კია სამშობლო, ოღონდ, არა თქვენთვის! თქვენთვის ის მხოლოდ ფულის საკეთებელი ტერიტორია, ანუ, „ცეხია“! არ არის მისი რეპუტაცია თქვენისთანა ნაბიჭვრების სადარდებელი.

77-ე წელში გადავდექი, 55 წელია, ქართულ (და არა მარტო) პოლიტიკაში ვარ, როგორც მონაწილე, მოწმე, მკვლევარი, პედაგოგი, ჟურნალისტი... მაგრამ ასეთი პოლიტიკური თუ ადამიანური სიბრიყვე, ასეთი იდიოტიზმი, საკუთარი პოლიტიკური საქმიანობისთვის მსგავსი თვითმკვლელური აქტი არასოდეს და არსად შემხვედრია.

თუმცა იმის ეჭვიც გამიჩნდა, რომ ისე ხომ არ მომეკიდა ასაკი, რომ ვერ ვხვდები რაღაც სხვა(!!!) თამაშს, უფრო „ღრმას“, უფრო „შორსგამიზნულს“, უფრო „შორსმჭვრეტელურს“, უფრო ეშმაკურს, რომელსაც ვერ წვდება ჩემნაირი დაბალი ინტელექტი, რომელსაც არ ამაგრებს მილიონები, ნაშოვნი თავხედობით, უზნეობით, მოსყიდვით, სხვათა გაბრიყვებით, სხვებზე და „სხვა რამეზე“ ამოფარებით, ე.წ. ახლობელთა ჩაწერა-გაწირვით, მეტისმეტი უტიფრობით...

ეს „ბარიკადების“ ერთი მხარე.

მეორე კი ის გახლავთ, რომ პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე, მაქვს შანსი და, ეგებ ღირდეს, ჰოლივუდი დავაინტერესო თემით: „ყველაფრის კადრება, ანუ არარიგითი ოქუაშვილის... 150 მილიონის გადასარჩენად!“

მართლაც, თუ ობიექტურად განვსჯით, ერთი რიგითის გადარჩენის თემისადმი მიძღვნილი ჰოლივუდური ბრწყინვალე ფილმის ტრაგიზმი დედის ნანასავით მოგვეჩვენება წმინდა ქართულ „არამზადობასთან“ შედარებით.



ჰოდა, შემოვცხოთ ტაში, კუკური!

ნუგზარ ფოფხაძე

◎ ზუგდიდი უმეროდ დარჩა!

„ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო“

ზუგდიდელები გაოგნებული არიან, ვერაფრით ვერ წარმოედგინათ, რომ მათ მიერ არჩეული მერი და „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლაშა გოგია ამ მეტად საოცნებო თანამდებობას ვერ შეირგებდა და ერთ წელსაც კი ვერ გაძლებდა სავარძელში. ისე, რაც ზუგდიდი გაერთიანდა და ლაშა გოგია მერი გახდა, არ წყდებოდა მითქმა-მოთქმა მერზე და მერიის გარშემო.

მოსახლეობა ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ ზუგდიდი დაუბრუნდა შევარდნაძის მმართველობის პერიოდს: ნეპოტიზმმა, კორუფციამ, წილების გადანაწილებამ, საბიუჯეტო თანხების მითვისებამ ჩვეულებრივი სახე მიიღო. ორი სტრუქტურის – ქალაქისა და რაიონის შეერთების შემდეგ გაერთიანებული ზუგდიდის მერმა ვერ მოახერხა საბიუჯეტო თანხებისა და საკადრო საკითხების მოგვარება. ამ გაერთიანებას შტატების შემცირება და ამის ხარჯზე საბიუჯეტო თანხების დაზოგვა უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, პირიქით მოხდა: გოგიამ თანამშრომელთა რაოდენობა არათუ შეამცირა, არამედ რამდენიმე ასეულით გაზარდა კიდეც. გაბერილმა შტატებმა კი საბიუჯეტო თანხების ფლანგვა გამოიწვია.

ზუგდიდის მმართველობის ისტორიაში ლაშა გოგია და მისი ყოფილი პირველი მოადგილე გია გულორდავა (რომელმაც ასევე დატოვა თანამდებობა), იმით გამოირჩეოდნენ, რომ ორ-ორი კაბინეტი ჰქონდათ. ერთი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ხოლო მეორე – სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობის მარჯვენა ფლიგელში, სადაც ადრე, ზუგდიდის გაერთიანებამდე, ქალაქ ზუგდიდის მერია იყო განთავსებული, ცნობილი კინოფილმისა არ იყოს „რად უნდა ორი სათაურიო“, რად უნდოდათ ორ-ორი კაბინეტი, გაურკვეველია. ალბათ, კვალის ასაბნევად, რადგან მათთან სხვადასხვა საკითხზე მისულ ზუგდიდელებს ძალიან უჭირდათ დაედგინათ, რომელი რომელ კაბინეტში იმყოფებოდა. ანდაზისა არ იყოს – „ორი კურდღლის მადევარი, ვერცერთს ვერ დაიჭერსო“. არიან ახლა კაბინეტების გარეშე, თუ მხოლოდ ამას დასჯერდნენ.

ყველა ზუგდიდელისთვის ცნობილი იყო, რომ ლაშა გოგია მერი გახდა რეგიონული მმართველობისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ზურაბ ალავიძის წყალობით და სწორედ მისი მფარველების – ალავიძის, კვირიკაშვილის, ყოფილ გუბერნატორ შონიას თანამდებობებიდან წასვლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალი გუბერნატორის დანიშვნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ალავიძის კადრის ლაშა გოგიას მერად ყოფნა-არყოფნის საკითხიც.

გავრცელებული ვერსიით, გოგიას გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისიდან ზუგდიდში ჩამოსულმა ხელისუფლების პირველმა პირებმა მას შესთავაზეს გადამდგარიყო, მაგრამ გოგიამ მათ შეახსენა, რომ ის არა დანიშნული, არამედ არჩეული მერია და არსად წასვლას არ აპირებდა. ამ სიჯიუტის გამო დაისაჯა და მოხდა ის, რაც მოხდა.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

შევიცნოთ ბოროტება და არ შევუშვათ ის ჩვენს ოჯახებში!..



განვდევნოთ ის ჩვენი საზოგადოებიდან!

კოსებმა თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს თავისუფლების ფორმულა მოუძებნეს და ცდილობენ, ადამიანი ამ ფორმულას მოარგონ. ადამიანის თავისუფლების არსი ადამიანის იდეაში თუ არ მოვძებნეთ, ვერ გავცემთ პასუხს კითხვაზე, რა არის თავისუფლება? უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ ადამიანი რისთვის, რა ფუნქციით, რა დანიშნულებით, რა მიზნით არის გაჩენილი. ურწმუნოთათვის ყოველი მოვლენა ფიზიკური და ქიმიური აქტიურობის შედეგია, მაგრამ ასეთი მოსაზრება, მოვლენის მიზნობრიობას ვერ ადგენს. ფიზიკურ მოვლენას მიზნობრივი მიზეზი არ გააჩნია, მისი საფუძველი შედეგობრივი მიზეზია. გულ-სისხლძარღვთა სისტემა ცოცხალ ორგანიზმში მიზნობრივი მიზეზით არსებობს, ის გამიზნულია ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. თუ ასეთ მიზნობრიობას ვხედავთ მოვლენაში, მაშასადამე, ის გონებრივი ნაყოფია. როცა ადამიანი ადამიანის გონებას არ შეუქმნია და არც შესწევს უნარი ასეთი მასშტაბის მოვლენის შესაქმნელად, ცხადი ხდება, რომ არსებობს უფრო სრულყოფილი გონება. ადამიანი ასეთი გონების მიზნობრივი მოვლენაა, ეს ჩანს იმ მრავალ სისტემაში, რომლითაც აგებულია ადამიანი, და ისიც ნათელია, რომ ფიზიკურ და ქიმიურ მოძრაობათა შედეგად ეს სისტემები ვერ შეიქმნებოდა.

ადამიანის თავისუფლების დადგენით, დადგინდება რაობა ადამიანისა. ამისათვის საჭიროა ადამიანის იდეაში დავინახოთ თავისუფლების მიზნობრივი მიზეზი.

ისაია ბერლინი წიგნში „თავისუფლების ორი კონცეფცია“, განარჩევს ნეგატიურ და პოზიტიურ თავისუფლებას; ნეგატიურია თავისუფლება, თუ ადამიანი სურვილის შესაბამისად მოქმედებს და პოზიტიურია თავისუფლება, თუ ადამიანი თავისი თავის ბატონ-პატრონია. ეს გახლავთ ლიბერალისტური იდეოლოგიის შეხედულება თავისუფლებაზე. ვერც ნებელობა ადგენს ადამიანის რაობას და ვერც თავისი თავის ბატონ-პატრონობა; ნებას გრძნობებიც აღძრავენ და გარეშე ფაქტორებიც. შეესაძლებელია, ადამიანს კაცის მოკვლის სურვილი გაუჩნდეს, გამოდის, რომ მკვლელობა თავისუფლებაა; კუჭში გასვლის ნების გამოხატვაც ადამიანის თავისუფლება ყოფილა... რა არის ამაში მხოლოდ ადამიანური, რომელიც ადამიანის რაობას დაადგენს? რაც შეეხება პოზიტიურ თავისუფლებას, როცა ადამიანი თავისი თავის ბატონ-პატრონია, გამოდის, რომ, თუ ბატონი თავქარიანია, ბოროტია, კეთილია, სულელია, ყოჩაღი, ან ზარმაცია, თავისუფლებასაც ეს თვისებები განსაზღვრავენ?

ადამიანი თავისი თავის ბატონი კი არა, თავის უფალია. უფალი თავისა საკუთარ შესაძლებლობებს, გრძნობებს, მოთხოვნილებებს, ფიზიკურ და გონებრივ უნარებს ფლობს და პასუხისმგებლობით ეკიდება; ის აცნობიერებს, როგორც თავის თავს, ისე სასიცოცხლო, კულტურულ და სამართლებრივ სივრცეებს და ქვეცნობიერში უჩნდება მიზანი საკუთარი თავის გამოვლენისა. შემოქმედების უნარის წყალობით ჩნდება წარმოსახვითი საგანი, რომელიც პასუხისმგებლობას ადამიანში არსებულ სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაზე გააქვს და იდეაში ადგენს საგნის მიზნობრიობას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ადამიანი იდეის ხორცშესხმას. ასეთი იდეური მოვლენები შეიძლება იყოს: ოჯახური, სამსახურებრივი, სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები, კანონები, ლიტერატურული, მუსიკალური, ზოგადად, მხატვრული ნაწარმოებები, სამეწარმეო პროდუქტები და ა.შ. პროცესში როცა ჩართულია პასუხისმგებლობა, მოვლენა სიკეთის მატარებელია.



ჯუმბერ სარდლიშვილი,
ტ. 599 24-40-28

(დასასრული მორიგ ნომერში)

რა კაშირშია მიგრანტებით დასახლების თემა საქართველოს ვალდებულებების შესახებ პოლიტიკოსის ნათქვამთან? ლტოლვილთა წარმოქმნის მიზანი და მიწების უცხოელებზე გაყიდვის მიზანი ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება: შემოიყვანონ ქვეყანაში უცხოელები, რომლებსაც თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების სახელით პატრიოტების სამართლიან მოთხოვნებს დაუპირისპირებენ. ამის მაგალითი საქართველოში იყო ე.წ. პროდასავლური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კონტრაქცია იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებსაც ქუჩაში გამოსვლით ირანელებისგან, თურქებისგან და არაბებისგან მოითხოვდნენ, შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ ქალებისთვის. ფაქტები არსებობდა და სხვა მიზანი აქციაზე გაცხადებული არ ყოფილა. კონტრაქციით გათავხედებულ უცხოელებს უთხრეს, ქართველებს ვინ ჰკითხავთ ჩვენ თქვენთან ვართ, ქალებს როგორც გინდათ, ისე მოექეცითო. აქვე შევნიშნავ, ეს ილუზიებში მყოფი ადამიანები ეროვნულ ძალებს ფაშისტებს ეძახიან. თუმცა 10-15 კაცი ფაშისტური მუნდირებით ასეთ შეკრებებზე მართლაც ჩნდებიან ხოლმე. ვფიქრობ, ეს ჯგუფი საგანგებოდ შექმნილია მათ მიერ, ვინც ქუჩაში გამოსულ ხალხს ფაშისტებს ეძახიან. ეს ფაშისტურმუნდირიანი ადამიანები მტრის ან გაუცნობიერებელი, ან გაცნობიერებული ხელის შემწყობები არიან. ორივე შემთხვევაში, მათ უფლება არა აქვთ, ერის გვერდით იდგნენ. ფაშიზმი, ისევე როგორც საბჭოთა სოციალიზმი, როგორც დემოკრატიული ლიბერალიზმი, ევროპული აზროვნების კრახია.

კიდევ ერთ მსგავს მაგალითზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: გერმანიის კანცლერს ანჟელა მერკელს თბილისში ყოფნისას, პარტია „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ სთხოვა, ქართველებისთვის გერმანიაში ლეგალური მუშაობის უფლება მიეცათ. თუ ეს სიკეთეა, ვთხოვოთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც, ამერიკასაც, ჩინეთს, იაპონიას და ვიყოთ ბედნიერები იმით, რომ ქართველები სხვა ქვეყნებში ბედნიერად ცხოვრობენ. იყვნენ ჩვენს ამ უბადრუკ ქვეყანაში არაბები, ირანელები, თურქები, ინდოელები და აფრიკელები. „ევროპულმა საქართველომ“ ხომ შესანიშნავად იცის, როგორ დაიცვას უცხოელთა უფლებები ჩვენს ქვეყანაში. „ჩვენს ქვეყანასო“, პიროგითად ვამბობ, თორემ სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულებს ჩვენი ქვეყანა სად გვექნება?! მართალია, ბაქრაძემ ხაზი გაუსვა ლეგალურად მუშაობის უფლება გერმანიაში მყოფ ქართველებს მიეცითო, მაგრამ შეურაცხყოფილ და ღირსებაყრილ ქართველებს, ლეგალური სამუშაოს იმედით ვინ გააჩერებს საქართველოში? აი, ეს არის ბატონო დავით, თქვენი და თქვენი პარტიის სიკეთის ბოროტება; დავალებებს საკუთარ აზრებად ახმოვანებთ.

ზემოთქმულიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ილუზიებში მყოფი ადამიანები ბოროტებას სიკეთედ აღიქვამენ, რაც ბოროტების აღზევებაა სიკეთის ილუზიად.

სოციალიზმის სული დემოკრატიულ ლიბერალიზმში ჩასახლდა. მისი გამოვლინებები დემოკრატიულ ლიბერალიზმში ჩანს. არავის აქვს უფლება, ევროპული ერები მარქსისტულ-ლენინური შერწყმების მეთოდებით აღგავოს პირისგან მიწისა. ევროკავშირის შესაქმნელად თუ საბჭოთა მეთოდებს გამოვიყენებთ, ევროკავშირიც ისევე დაინგრევა, როგორც — საბჭოთა კავშირი. ილუზიებში მყოფი რამდენი გონებადაკარგულიც არ უნდა იყოს ევროპაში, ფსიქოლოგიიდან ვიცით, განწყობები ქრება, ადამიანები ილუზიებიდან გამოდიან და მჯერა, რეალობის წინაშე დამდგარი ევროპა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. **ჩვენ, აი იმ ევროპასთან ერთად უნდა ვიყოთ, იმ ევროპასთან ერთად, რომელსაც ერების შერწყმის ავადმყოფობა არ შეაწუხებს, ილუზიებით არ გამოიკვებება და ყალბი ღირებულებებით თავს არ დაიღუპავს. ევროპამ არ უნდა დაუშვას ისეთი პროცესები ევროპაში, რომელიც ევროპის დემოგრაფიულ რუკას შეცვლის. ერების უფლებების გათვალისწინებებით შექმნილი ერთიანი ევროპა უფრო სიცოცხლისუნარიანი იქნება, ვიდრე იდენტობის დაკარგვით შეშინებული ერების გაერთიანება.** ასეთი გაერთიანება იყო საბჭოთა კავშირი და დაინგრა. ევროკავშირის შექმნას უფრო მყარი საფუძველი სჭირდება. ისეთი გაყალბებული ღირებულებების გარშემო გაერთიანება, როგორებიც გახლავთ დემოკრატია, ლიბერალიზმი, თავისუფლება და ადამიანის უფლებები, მყარი ერთობის ჩამოსაყალიბებლად ვერ ივარგებს იმ მიზეზით, რომ დემოკრატია დემოკრატიულ ლიბერალიზმში ხალხის ძალას აღარ ნიშნავს, ლიბერალიზმი ხალხის სასარგებლოდ სახელმწიფოს ძალაუფლების შეკვეცას აღარ ნიშნავს, თავისუფლება ადამიანის არსისეული სრულყოფილებიდან ამოვარდნაა, ხოლო ადამიანის უფლებები არსისეული სრულყოფილებიდან ამოვარდნილი არსების უფლებებია.

განაცხადი მშრალი რომ არ გამოვიდეს, მოკლედ განვიხილოთ ცალცალკე:

1. იდეოლოგიური სახელმწიფო იდეოლოგიური განწყობით აღძრული პარტიის ხელშია. პარტია იდეოლოგიური მიზანსწრაფულობით მოქმედებს. ასეთ სახელმწიფოში ხალხის ძალა, ანუ დემოკრატია უძრაობაშია. თუ დემოკრატია ისე გვესმის, როგორც გერმანიის კანცლერმა მერკელმა განაცხადა, და დემოკრატია ხელისუფლებაში ხმათა უმრავლესობით მისვლაა, ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ ილუზიებში მყოფ ადამიანებს შეუძლიათ ხმათა უმრავლესობით თავიანთი მკვლელი მოიყვანონ ხელისუფლებაში. ამის მაგალითი გახლავთ ადოლფ ჰიტლერის მოყვანა გერმანიის ხელისუფლებაში, რომელმაც სამოცდაათი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.

დემოკრატია, არსისეულ განსაზღვრებაში, არჩევნებით არ შემოიფარგლება. მიზანი დემოკრატიისა არ გახლავთ არჩევნების შემდეგ ხალხის პასიურ, მართვად მდგომარეობაში გადაყვანა. აქ უმჯობესია, ხალხის ნაცვლად საზოგადოება ვიგულისხმოთ. ხალხი სამოქალაქო ერთობაა, ხოლო საზოგადოება უფრო მაღალ ხარისხშია, ის პიროვნებათა ერთობაა. მომავლის დემოკრატია საზოგადოების ძალაა, რომელიც არჩევნების შემდეგ პასიურ მდგომარეობაში არ გადადის. დემოკრატია და იდეოლოგია შეუთავსებადი ცნებებია. ხალხს პრაგმატული მიზნები ამოძრავებს, იდეოლოგიას იდეოლოგიური მიზნები, მათი მიზნები პრინციპულად არ ემთხვევა ერთმანეთს იმიტომ, რომ ადამიანი ვითარდება არსიდან გამომდინარე, ხოლო იდეოლოგიის მიზანია, შეცვალოს ადამიანი. დემოკრატია ლიბერალიზმს სჭირდება, რათა არჩევნებში ხმის მიცემით ადამიანს შეუქმნას ილუზია, თითქოს რაღაცას ცვლის. ადამიანი საბჭოთა იდეოლოგიასაც ასეთივე ილუზიებში ჰყავდა. ნების დასამორჩილებლად და გონების ილუზიებში გადასაყვანად იდეოლოგია მძლავრ საინფორმაციო ზეწოლას ახორციელებს, რის შედეგად ადამიანი პოლიტიკის ზემოქმედების ობიექტი ხდება და არა მისი განმსაზღვრელი. აი სიყალბე დემოკრატიისა.

2. „ლიბერ“ ლათინური სიტყვაა და თავდაპირველად თავისუფალ ადამიანთა ფენა იგულისხმებოდა, რომელიც მთავრობის ძალა-უფლებას უპირისპირდებოდა. ტექნიკური პროგრესის შედეგად გაჩენილმა მესაკუთრეთა კლასმა ეს ფენა გამოიყენა და საფუძველი მოუმზადა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას. პირველი ლიბერალური მთავრობა ჩამოყალიბდა 1868 წელს, რომელსაც უკვე ხელთ ჰქონდა მე-17 , მე-18, მე-19 საუკუნეების ლიბერალ თეორეტიკოსთა ნაშრომები და იმის ნაცვლად, უფლებები დაეთმო, როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის უფლება, კანონებით შეაღწია საზოგადოებრივ, ოჯახურ, ადამიანთა ინტიმურ და სულიერ ურთიერთობებში, სარგებლიანობა მორალზე მაღლა დააყენა და ადამიანურ ურთიერთობებში მთავრობის ჩაურევლობის ლიბერალურ იდეას ლიბერალური იდეოლოგია დაუპირისპირა, რომელიც ტოტალურ ზეწოლას ახორციელებს ადამიანზე და ადამიანურ ურთიერთობებზე. ეს გახლავთ სიყალბე ლიბერალიზმისა.

3. თავისუფლების საკითხს ლიბერალიზმი ზერელედ უდგება. ჯონ სტიუარტ მილისა და შემდგომ ჯონ როულსისეული განმარტებით თავისუფლება ინდივიდის ისეთი ქმედებაა, რაც არ შებღალავს სხვათა უფლებას იყვნენ თავისუფალნი. როგორც ჩანს, თეორეტი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 181

ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონისა და მისი დაჯგუფების ალუფოთების ნამდვილი მიზეზი

მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2017, №2) გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებით, შევეხე „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმსა და ამავე საზოგადოების ისტორიკოს ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილის ნაშრომებში დაშვებულ უზუსტობებს. მართალია, ვწერდი, რომ ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონის სტატუსს არ განვიხილავდი, მაგრამ მემორანდუმში სერიოზული უზუსტობების გამომჟღავნება მის პოზიციებს საგრძნობლად ასუსტებდა. შედეგად, ის დამიპირისპირდა და გვერდში ბაგრატიონები ამოიყენა, რომელთა სახელით 12 წარმომადგენელი აწერს ხელს ჩემს საწინააღმდეგო პუბლიკაციას. სათანადო კვალიფიკაციის უქონლობის ფაქტმა ისინი ვერ შეაჩერა, მათ შორის ხომ არც ერთი ისტორიკოსი არ არის! დაიწყეს ჩემი აქილევსის ქუსლის ძიება და ასეთად პეტრე ბაგრატიონის პორტრეტის ისტორია გამოძებნეს. დავიწყოთ ჩვენც ამ პორტრეტით.

2015 წელს, ლონდონში, ბონჰემის აუქციონზე სპილოს ძვალზე შესრულებული მინიატიურა ისე გაიყიდა, როგორც სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (დაბ. 1771 წ.) პორტრეტი. მინიატიურის ავტორია ანტუან კემანი. მყიდველმა სიმონის პორტრეტში 3 700 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. ამ ინფორმაციით დღემდე სავსეა ინტერნეტ სივრცე. 2016 წლის 28 იანვარს ბ-ნ ნიკოლოზ ც-ძეს ამ პორტრეტის გაგზავნისთვის მავრიკის ანუ მაურიციოს რაინდებმა მადლობა გამოუცხადეს, რითაც ფაქტობრივად დაადასტურეს, რომ სიმონი წმინდა მავრიკის და ლაზარეს ორდენის წევრი იყო. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ყველას ეშლებოდა? (https://www.facebook.com/../a.225587774444/.../225451771025182/....)

2016 **წელს**, „იმერეთის მეფეთა შთამომავლების საზოგადოების“ გახსნაზე, მე აღნიშნული პორტრეტის ასლი შესაბამისი წარწერით ლიტერატურის მუზეუმს გადავეცი. ამავე დროს, დავუკავშირდი აუქციონის მესვეურებს და ვკითხე, თუ როგორ დაადგინეს 1806 წელს ანტუან კემანის მიერ შესრულებული, ერთნაირ ჩარჩოებში მოთავსებული, გრაფი უვაროვისა და სიმონ ბაგრატიონის ვინაობა. აუქციონის პასუხისმგებელმა პირმა, ჯენიფერ ტონკინმა, მიპასუხა, რომ მათი ვინაობა ხელით იყო მიწერილი ჩარჩოს უკანა მხარეზე. წარწერები ძველია, შეიძლება პორტრეტების შესრულების ზუსტად თანადროული არ იყოს, მაგრამ XIX საუკუნეშია შესრულებული. საიდან გაიგეს იმ დროს ლონდონში სიმონ ბაგრატრიონის სახელი, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება. შემდეგ, დავრწმუნდი რა, რომ აუქციონზე შეცდომა იყო დაშვებული და მინიატიურაზე პეტრე ბაგრატიონი იყო გამოსახული, მივედი მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ქალბატონ თეა თვალავაძესთან და ვაცნობე ამის შესახებ, რაც მას ჩემს მიერ გადაცემული პორტრეტის ნებისმიერი სახით განადგურების სრულ უფლებას აძლევდა. საინფორმაციო პორტალ „ფაქტორში“ ა. წ. 3 აპრილს გამოვაქვეყნე წერილი „პეტრე ბაგრატიონის ერთი პორტრეტის საიდუმლო“, სადაც აღვნიშნე, რომ პეტრე ბაგრატიონის ერთ პორტრეტს ინგლისში შეცდომით სიმონ ბაგრატიონის სახელი დაწერეს. ეს პუბლიკაცია ცნობილია „ბაგრატოვანთა სახლისთვის“, რაც მტკიცდება ბ-ნი მამუკა ბაგრატიონის მიერ ჩემს ფბ-გვერდზე გაკეთებული კომენტარებით, რომელთა შეფასებისგან ამჟამად თავს შევიკავებ. ამის შემდეგ, გამოვეცი წიგნი „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, სადაც 47-ე გვერდზე გარკვევით მიწერია, აუქციონზე გაიყიდა „მეფალიონი პეტრე ბაგრატიონის გამოსახულებით, რომელიც შეცდომით სვიმონის პორტრეტად დასახელდა“. ამით საკითხი ამოიწურა, მაგრამ გადის დრო და ბაგრატიონები კოლექტიურ წერილს აქვეყნებენ, მხოლოდ მე მადანაშაულებენ, არც აუქციონს ახსენებენ, არც მხატვარს, არც XIX საუკუნის წარწერას და, რაც მთავარია, მალავენ, რომ მე ჩემს წიგნში ეს პორტრეტი პეტრე ბაგრატიონის პორტრეტად ვაღიარე! ისმის კითხვა: იცოდნენ, თუ არა მათ ამის შესახებ? ცხადია, იცოდნენ, რაც იმით მტკიცდება, რომ ჩემი წიგნი უკვე გაკრიტიკებული ჰქონდა იოსებ ბიჭიკაშვილს თავის ახალ წიგნში, რომლის „მამხილებელი“ წინასიტყვაობა ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონს ეკუთვნის.

ისმის შემდგომი კითხვა: რატომ წამოწიეს ჩემს მიერვე დიდი ხნის წინათ უარყოფილი ვერსია და ისე წარმოაჩინეს საქმე, თითქოსდა, ეს პორტრეტი საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა? პასუხი ახლაც ცხადია: მათ ჩემი დისკრედიტაცია ჰქონდათ გამიზნული, რათა მკითხველ საზოგადოებას ჩემდამი ნდობა დაეკარგა და მემორანდუმის კანონიერებაზე მსჯელობის საშუალება აღარ მომცემოდა. მე კი მემორანდუმის სერიოზული განხილვის მოთხოვნას ვაპირებ! ამის შემდეგ, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის



წიგნის რედაქტორმა, „ისტორიის დოქტორმა“, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარემ და როგორც საკუთარ თავს უწოდებს „პოლკოვნიკმა“ მამუკა გოგიტიძემ თავის ფბ-გვერდზე მთელი საზოგადოების სახელით გამოხატა აღშფოთება, დაიწყო ფაქტების არევ-დარევა (ანტუან კემანის ნაცვლად იტალიელ მხატვარს სალვატორე ტონჩის ასახელებს, აუქციონს არ ახსენებს, სვიმონ ბაგრატიონის შესახებ აცხადებს, რომ მის შესახებ არაფერია ცნობილი და სხვა) და ჩემს წიგნში მოცემული ინფორმაციის შეცვლასაც არ მოერიდა: „ქ-ნი მანანა ხომერიკი ამბობს, რომ ეს შეცდომაა, და პორტრეტზე გამოსახული პიროვნება არა პეტრე ბაგრატიონია, არამედ სიმონ ბაგრატის-ძე ბაგრატიონი...“

თავისი ალოგიკურობით გაკვირვებას იწვევს შემდეგი მსჯელობა: „6. საისტორიო წყაროებში არსად არ ჩანს სიმონ ბაგრატიონი. ხომ შეიძლება პიროვნების ფოტო არ იყოს, მაგრამ იყოს ბიოგრაფიული მონაცემები მასზე, არსად არაფერი არაა (აქედან ჩანს, რომ ბ-ნი გოგიტიძე არ იცნობს სიმონის შესახებ არსებულ საარქივო მასალას, რაც მოხმობილია ჩემს წიგნში. არადა, ჩემს ოპონენტებს ჩემს წინააღმდეგ ხომ ყველაფერში ეთანხმება! — მ.ხ.). დაბოლოს, საისტორიო წყაროებში, დაწყებული 1801 წლიდან, ფიგურირებს ეს პორტრეტი პეტრე ბაგრატიონისა, გარდა ამისა, არსებობს უამრავი პორტრეტი შექმნილი მისსავე სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც, რომლებიც პრაქტიკულად ყველა იდენტურია, და თანაც ეს რომ ყოფილიყო სხვაგვარად, რუსებს ვინმე დაასწრებდა ამ საქმეში (ამ შემთხვევაში, რა საქმეში უნდა დაასწრონ რუსებს? - **მ. ხ.**)? არამც და არამც. ჩვენი საზოგადოების პოზიცია ერთადერთია — ეს არის გენერალ პეტრე ბაგრატიონის პორტრეტი! მკითხველი იკითხავს, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? პასუხი მარტივია, საქმე გვაქვს ისტორიის ჩვეულებრივ გამყალბებლებთან, რათა კიდევ ერთხელ მისცენ მავანს საშუალება, ჩირქი მოსცხონ საქართველოს უძველეს ბაგრატიონთა დინასტიას (სიმონ ბაგრატიონიც სამხედრო პირი რომ ყოფილიყო, ამით ბაგრატიონებს რა ჩირქი მოეცხებოდათ? — **მ. ხ.**). არა! არ გამოგივათ, ბატონებო (მივაქციოთ ყურადღება, რომ მე მომმართავს, როგორც „ბატონებოს“, რითაც მიანიშნებს, თითქოსდა ჩემს უკან ვიღაც ბატონები დგანან. — **მ. ხ.**), ხელები გაქვთ ნამეტანი მოკლე, ვერ მიწვდებით ბაგრატიონებს! უფალი ფარავდეს საქართველოს და „ბაგრატოვანთა სახლს“! ყურადსაღებია ბ-ნი მ. გოგიტიძის ფეისბუქის გვერდზე ასახული მისი მიმოწერა ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილთან, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს: „Joseph Bichikashvili mamuka magari tserilia.“ ი. ბიჭიკაშვილი წერილს იწონებს, როგორც ჩანს მათ შორის წინასწარი შეთანხმება არსებობდა: „Мамука Гогитидзе სიტყვა შევასრულე...გირეკავდი მთელი დღე და არ იღებდი.“ ბ-ნი მ. გოგოტიძე მას გამოქვეყნების ნებას აძლევს: „Мамука Гогитидзе ჰოდა გამოაქვეყნე სადაც გინდა.“ მთავარი კი ის არის, რომ ბ-ნმა მ. გოგოტიძემ გამოიყენა საზოგადოების თავმჯდომარის პოსტი, საზოგადოების წევრების სახელები და გვარები ჩამოწერა, ვითომდა, მათაც მოაწერეს ხელი მის პასკვილს. პატიოსანი ადამიანების სიას რომ გადავხედე, მივხვდი, რომ ასეთ სიბინძურეს არ იკადრებდნენ და მართალი აღმოვჩნდი. ამ აფიორის გამოაშკარავებიდან 10 წუთში ბ-ნმა მ. გოგოტიძემ გამოსაქვეყნებლად გამზადებული და ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოწონებული წერილი თავისი ფბ-გვერდიდან აიღო. ჯერ ჩემს ფბ-გვერდზე მომიხადა ბოდიში, მერე გადმომცა თავისი ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც აღიარებს, რომ დაუშვა შეცდომა, როდესაც ისე დათანხმდა ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის წიგნის რედაქტორობაზე, რომ ჩემს ნაშრომებს სათანადოდ არ იცნობდა, უარს ამბობს რედაქტორობაზე და მიხდის ბოდიშს. მეც ვაპატიე. შემდეგ თქვა, რომ სურდა ამ განცხადების გადატანა საზოგადოების ბლანკზე, დრო გაიყვანა, ახლა ახალ გეგმებს აწყობს და კვლავ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრების ჩარევა და პასუხისმგებლობის მათზე გადატანა უნდა. ამიტომ მე მის ბოდიშს აღარ ვიღებ.

ახლა კი ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონისა და 12 ბაგრატიონის აღშფოთების ჭეშმარიტი მიზეზის შესახებ. ისინი კოლექტიური წერილით აფიქსირებენ და გამოხატავენ თავის შეშფოთებას „მაცნეში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილის გამო. მე ეს არც მიკვირს, ცხადია, მიხვდნენ, რომ ჩემი წერილი სერიოზულ დარტყმას აყენებს 2006 წლის მემორანდუმს, რომლის კანონიერებაც ეჭვქვეშ დგება. ჯერ ქ-ნი ნინო ბაგრატიონი გამოაცხადეს იმერეთის ტახტის მემკვიდრედ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, შემდეგ ბ-ნმა ნუგზარ ბაგრატიონმა მისი ხელიდან „მიიღო“ იმერეთი და სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრე გახდა. მე მისი პიროვნების საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მხოლოდ გამოვთქვი სურვილი, რომ დოკუმენტს მეტი იურიდიული ძალა ჰქონოდა: იმერეთი მიეღო კანონიერი მემკვიდრის ხელიდან და არა იმ პირიდან, ვის წინაპრებსაც მემკვიდრის სტატუსი, იმერეტინსკებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონიათ.

იხ. 7 გვ.

შინდისში წყლის მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელი ეწყობა

მთაწმინდის რაიონში, შინდისში, სამკილომეტრიანი წყლის მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან და მთაწმინდის რაიონის გამგებელ დავით კირკიტაძესთან ერთად გაეცნო.

ქსელის მოწყობას, რომელსაც შპს „ბილდინგ დეველოპერი“ ახორციელებს, მთაწმინდის გამგეობა აფინანსებს. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 570 ათასი ლარია გამოყოფილი.

„შინდისში დაახლოებით 150 ოჯახი ცხოვრობს, რომელთაც არასდროს ჰქონიათ იმის შესაძლებლობა, რომ სასმელი წყალი მიწოდებოდათ. ამიტომ, ეს პროექტი აქ მცხოვრები მოქალაქეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამუშაოები — ცენტრალური მაგისტრალი, დაქსელვა, დაერთება დეკემბერში დასრულდება, რათა ადგილობრივი მოსახლეობა წყლით უზრუნველყოფილი იყოს“.

მშენებლობისთვის შესაბამისი პროექტი მოამზადა და მთაწმინდის გამგეობას საჩუქრად კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (GWP) გადასცა, რომელიც მიმდინარე სამუშაოებს თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიასთან ერთად ზედამხედველობას გაუწევს.

პროექტი წყალმომარაგებით 100-ზე მეტ ოჯახს უზრუნველყოფს. სამუშაოებს მერთან ერთად, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ჯაბა ჯიშკარიანი, ასევე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები — ბექა ოდიშარია და ირაკლი აბუსერიძე გაეცნენ.

ჩვენს კურორტებს ნიდერლანდების სამეფოში გაუწევენ რეკლამას

ძვეძნის ტურისტული პოტენციალის გაცნობისა და ზამთრის კურორტების პოპულარიზაციის მიზნით, ნიდერლანდების სამეფოში, საქართველოს საელჩოში საქართველოს ზამთრის ტურიზმის შესახებ ღონისძიება „Georgia as a Ski Destination“ გაიმართა.

ღონისძიებაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კონსტანტინე სურგულაძემ დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და სტუმრებს საქართველოს ზამთრის კურორტებისა და სათხილამურო ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ღონისძიებას ტურისტული კომპანიების, სათხილამურო ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

◎ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ

ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲚᲘᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ საქართველოს ბევრი მოქალაქე, ვინც სამოგზაუროდ ევროკავშირის ქვეყნებში წავიდა, ადგილობრივ პოლიციას ჩაბარდა თავშესაფრის მიღების იმედით. ჩვენ გერმანიაში ჩამოვედით იმის გასაგებად, თუ როგორ ცხოვრობენ და თავშესაფრის მიღების რა შანსი აქვთ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს.

ცოტა ხნის წინათ ქალაქი კემნიცი გერმანიაში ანტიიმიგრანტული განწყობის ეპიცენტრად იქცა. მძაფრი პროტესტი გამოიწვია კემნიცელი მამაკაცის მკვლელობამ, რომელშიც სირიელ და ერაყელ მიგრანტებს ადანაშაულებენ. აქციებში მონაწილეობდნენ ულტრამემარჯვენეებიც. პოლიციელებსა და მემარცხენე დემონსტრანტებთან მათი დაპირისპირების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

ამ სიტუაციაში ნამდვილად ქართველები იყვნენ მართლები... ქართველები გადაარჩინა პოლიციამ.

მართალია, ქართველი მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები არ არიან ამ აქციების მთავარი სამიზნე, მაგრამ მათაც შეეძლება შეეხოს როგორც ანტიიმიგრანტული განწყობის გაძლიერება, ისე სხვა ყოფითი პრობლემები, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრებში იჩენს თავს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის.

ივლისის ბოლოს აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ აიზენჰიუტენშტატში მდებარე დევნილთა დროებითი განთავსების ცენტრში ქართველებსა და აფრიკელებს შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის შესახებაც გვიამბო თავშესაფრის მაძიებელმა ერთ-ერთმა ქართველმა. ის თავს პოლიტიკური ნიშნით დევნილად მიიჩნევს და ანონიმურობის დაცვა გვთხოვა.

ზოგი სახლს ყიდის, ზოგი ვალებით მოდის იმისათვის, რომ რაღაცნაირად გამოაღწიონ და ჰგონიათ, რომ აქ ექნებათ სოციალური დახმარება, სამედიცინო დაზღვევა — ყველაფერი ექნებათ...

„ამ სიტუაციაში ნამდვილად ქართველები იყვნენ მართლები. ქართველები გადაარჩინა პოლიციამ. დაახლოებით ხუთი ქართველი იყო და ისინი იყვნენ 20-30 კაცი. მოჰპარეს რაღაც ქართველს და მაგაზე იყო კონფლიქტი“, — ამბობს თავშესაფრის მაძიებელი, რომელიც გიორგით გაგვეცნო.

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებლები რამდენიმე თვე ცხოვრობენ დროებითი განთავსების ცენტრებში. ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას უარს ეუბნებიან გერმანიაში დარჩენაზე.

„ამ დროს ეს ხალხი — ზოგი სახლს ყიდის, ზოგი ვალებით მოდის იმისთვის, რომ რაღაცნაირად გამოაღწიონ და ჰგონიათ, რომ აქ ექნებათ სოციალური დახმარება, სამედიცინო დაზღვევა — ყველაფერი ექნებათ, ლაზ ფერებში ხედავენ ამ ყველაფერს. ეს არის ილუზია. კი ბატონო, ეს აქვთ სამი თვის განმავლობაში“, — ამბობს თამარ შალამბერიძე, ბერლინის „ქართული სახლის“ დამფუძნებელი.

თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრებში, მათ შორის აიზენჰიუტენშტატში, მიგრანტები მართლაც უზრუნველყოფილი არიან — იქნება ეს კვებით, სამედიცინო მომსახურებით თუ კეთილმოწყობილი ოთახებით.

„ყოველთვის, როცა ერთი რომელიმე ოჯახი გადის, ყველაფერს ვასუფთავებთ და მერე, რაც ახალშემოსულებს დასჭირდებათ, ჩვენი თანამშრომლები აძლევენ“, — გვიხსნის რიუდიგერ ოსბურგი, გერმანიის „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წარმომადგენელი.

მინდა, აღვნიშნო, რომ სავიზო ლიბერალიზაციის დასაწყისი ეტაპის შემდეგ, როცა გერმანიაში მართლაც მრავალრიცხოვანი ლტოლვილები ჩამოდიოდნენ, ახლა (საქართველოს მთავრობასთან) ერთად შევძელით მათი რიცხვის მკვეთრად შემცირება.

მიუხედავად ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისა, ყველა მიგრანტის ოცნებაა, რაც შეიძლება მალე დატოვოს მსგავსი ცენტრი და მიიღოს თავშესაფარი, რაც ქვეყანაში ბინადრობას, სოციალური დახმარებისა და მუშაობის უფლების მიღებას ითვალისწინებს. მაგრამ გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაამკაცრა თავშესაფრის მინიჭების პროცედურა.

საქართველოს მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მიღების შანსი თითქმის არ არსებობსო, — გვითხრა ბრანდენბურგის მხარის მთავრობის წარმომადგენელმა ოლაფ იანსენმა.

„ჩვენ გვაქვს პროგრამები, რომლებიც მათ ეხმარება საქართველოში უსაფრთხოდ დაბრუნებაში. თუ ითანამშრომლებენ ჩვენთან, ყოველთვის შეეძლებათ აქ დაბრუნება. თუ არ ითანამშრომლებენ და მათი ექსტრადიცია მოგვიწევს, მრავალი წლით ვეღარ შეძლებენ ევროკავშირში ჩამოსვლას“, — ამბობს იანსენი.

2018 წლის ოფიციალური სტატისტიკით, საქართველო კვლავ რჩება გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა ათეულში სამი ათასამდე ახალი განაცხადით. მაგრამ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აგვისტოში თბილისში ვიზიტისას ახსენა ერთი ახალი ტენდენცია.

„მინდა, აღვნიშნო, რომ სავიზო ლიბერალიზაციის დასაწყისი ეტაპის შემდეგ, როცა გერმანიაში მართლაც მრავალრიცხოვანი ლტოლვილები ჩამოდიოდნენ, ახლა (საქართველოს მთავრობასთან) ერთად შევძელით მათი რიცხვის მკვეთრად შემცირება. მინდა, მადლობა გადავიხადო ამ თანამშრომლობისთვის“, — განაცხადა ანგელა მერკელმა 24 აგვისტოს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გერმანიაში თავშესაფრის ქართველ მაძიებელთა რიცხვის შემცირება, უფლებადამცველების აზრით, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ქართველებს იქ სამუშაოდ ჩასვლა არ შეეძლებათ. თამარ შალამბერიძე, რომელიც დიდი ხანია, ეხმარება გერმანიაში თავშესაფრის საძებრად ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს, „ცირკულარული ემიგრაციის“ იდეას უჭერს მხარს:

„ანუ შესაძლებელია, რომ მთავრობების დონეზე თუნდაც დროებითი სამუშაოს ნებართვა მიიღოს საქართველოს მოქალაქემ აქ - თუნდაც ოთხთვიანი ან ექვსთვიანი, არა მუდმივი, არამედ დროებითი სამუშაო, რომ ხალხი ელემენტარულად ჩამოვიდეს, იმუშაოს სამი-ოთხი თვე, ხუთი თვე, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში — და დაბრუნდებიან, უმეტესობა დაბრუნდება, დამიჯერეთ! რომ მათ ექნებათ რაღაც მინიმალური — მინიმუმ ექვსი ათას ევროს ჩაიტანენ სახლში“, — ამბობს თამარ შალამბერიძე, ბერლინის „ქართული სახლის“ დამფუძნებელი.

ᲙᲝᲜᲐ ᲚᲘᲙᲚᲘᲙᲐᲫᲔ

SIC! ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲓᲝᲕᲐᲩᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲣᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲗ ᲢᲧᲕᲘᲐᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ორგანიზმში ტყვიის შემცველობის წინაალმდეგ საბრძოლველად აუცილებელია პირველ რიგში განისაზღვროს ყველა გამომწვევი მიზეზი — ამის შესახებ „კვირის“ პრესკლუბში ტოქსიკოლოგმა ინგა ღვინერიამ ისაუბრა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე რაიმე ანტიდოტი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრილ ტყვიას გამოდევნის, არ არსებობს, ხოლო ჰაერის, წყლისა და საკვების გარდა, ტყვიის შემცველი შესაძლოა, იყოს საღებავები, მაკიაჟის საშუალებები და ტუჩსაცხებიც კი.

„სხვადასხვა გაიდლაინები არსებობს, როგორ უნდა უმკურნალო სისხლში ტყვიის არსებობას, თუმცა ეს დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზმზე. სხვა ქვეყნებში, როცა ტყვიის შემცველობა მაღალია, მაშინვე პირველადი წყაროს დადგენა ხდება. ეს აუცილებლობაა“, — განაცხადა ინგა ღვინერიამ მედიასთან კომენტარში.

მისი თქმით, ტყვიას მწვავე მოწამვლის სიმპტომატიკა ახასიათებს, თუმცა მასზე ეჭვის მიტანა მედიკოსებს მაინც შეუძლიათ. ეჭვის გაჩენის საფუძველი კი შეიძლება გახდეს პაციენტის ჩვევები, საცხოვრებელი ან სამუშაო გარემოც კი: **„ტყვიის სისხლში მოხვედრის შემთხვევაში ყველაზე მეტად დამახასიათებელია ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება და რკინადეფიციტური ანემია. ტყვია მოქმედებს ჰემოგლობინის სტაბილურობაზეც. ტყვიის სისხლში არსებობა შესაძლოა, გამოვლინდეს აღგზნებით, ბავშვებში კი შეიძლება ინტელექტის დაბალი კოეფიციენტით, გონებრივი ჩამორჩენით და ჰიპერაქტიურობით გამოიხატოს“.**

ტყვიის შემცველობას მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკები ამოწმებენ როგორც კაპილარულ, ასევე ვენურ სისხლში, თმასა და ნუნებში, თუმცა საქართველოში ამ გამოკვლევის ჩასატარებლად დიდი არჩევანი არ არსებობს. ერთ-ერთ ლაბორატორიაში, რომელიც გერმანიაში გზავნის ანალიზებს, ამ კვლევას 109 ლარად ატარებს.

20 სექტემბრიდან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოს სტატისტიკის სამსახური მრავალინდიკატორიან კლასტერულ კვლევას იწყებენ. კვლევა 14 ათასი ოჯახის ინტერვიუს ითვალისწინებს, სასმელი წყლის ხარისხის შესწავლას და 2-7 წლის ბავშვებში ტყვიის შემცველობაზე სისხლის შემოწმებას.

სწორედ ამ მასშტაბური კვლევის შემდეგ იქნება შესაძლებელი ქვეყანაში არსებულ ზოგად სურათზე საუბარი. მანამდე კი ტყვიის შემცველობა ქართული სანელებლების შემდეგ დაბალი შემცველობით თბილისის ატმოსფერული ჰაერის მტვერშიც აღმოჩნდა.

ᲡᲝᲤᲝ ᲓᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ᲓᲝᲜᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ ᲓᲐᲖᲐᲤᲠᲐ!



ᲮᲛᲐᲣᲠᲘ და სიტყვიერი დაპირისპირება იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის საქმის განხილვისას გამოცხადებულ შესვენებაზე. ერთმანეთს ერთ-ერთი ბრალდებულის ახლობელი და ბრალდებული ზაზა ბაქრაძე დაუპირისპირდნენ. როგორც ბაქრაძემ განმარტა, მას დანაშაული ჩადენილი აქვს, თუმცა, მასთან ერთად დამნაშავეები სხვებიც არიან.

„მე ჩემს დანაშაულს არ უარვყოფ, დანაშაული მაქვს ჩადენილი, ხელყუმბარა მე ჩავუდე. ასევე არ უარვყოფ, რომ გურამ დონაძე, ზურა მიქაძე — ესენი იყვნენ ამ ყველაფრის თავი. მე რატომ მივიღე მონაწილეობა? გარდა იმისა, რომ ჩემზე იყო შანტაჟი, ჩემს შვილებზეც გადავიდა შანტაჟი, დღემდე!

მე გელაპარაკებით ადამიანი, რომელიც შემთხვევის ადგილზე ვიყავი და ქალაქის კრიმინალურ პოლიციას ვხელმძღვანელობდი. იარაღები მოვიდა ჩემი შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ. ეს სხვა მოწმეებმაც დაადასტურეს“, — განაცხადა ბაქრაძემ.

ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების საქმეზე ბრალდებულია 6 პირი: გურამ დონაძე, ზაზა ბაქრაძე, ზურა მიქაძე, ლევან გვაზავა, ირაკლი ფირცხალავა და დავით იაშვილი არიან ბრალდებული. ერთ-ერთი ბრალდებული, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 28 თებერვალს დააკავეს, 30 მარტს, 5 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონისა და მისი დაჯგუფების ალუფოთების ნამდვილი მიზეზი

(მეხუთე გვერდიდან) ასევე, არსებობს საყოველთაო წესი, რომლის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტს ხელმომწერნი თავისი საპასპორტო მონაცემების შესაბამისად აწერენ ხელს, რაც მემორანდუმში ნაწილობრივ დარღვეულია და მემორანდუმს იურიდიულ ძალას აკარგვინებს, მე კი მინდოდა, რომ ეს არ მომხდარიყო. ეს იყო ჩემი ძირითადი გზავნილი. ახლა იმასაც დავუმატებ, რომ ბაგრატიონი-დავითიშვილების (აზნაურული შტოს) გვარით ხელს აწერს რამდენიმე ისეთი პირი, რომელსაც გვარი დაკანონებული არა აქვს და ოფიციალურად მხოლოდ დავითიშვილის გვარს ატარებს.

„ბაგრატოვანთა სახლის“ წევრები წერენ: **„გულდასმით გავეცანით ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ჩვენი საზოგადოების ისტორიკოს იოსებ ბიჭიკაშვილს ბრალს სდებს იმერეთის ბაგრატიონთა შტოსთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობების გამო.“** საინტერესოა, რომ ბაგრატიონები მხოლოდ აღშფოთებას გამოთქვამენ ჩემი წერილის გამო და მთლიანად იზიარებენ ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის მოსაზრებებს. **ე. ი. მათ მოსწონთ ის ფაქტი, რომ მათმა ისტორიკოსმა იმერეთის XIX საუკუნის I მეოთხედის პერიოდის ისტორიიდან სრულიად გააქრო 1810 და 1819-1820 წლების აჯანყებები. თურმე, იმერლები 1810 წელს მეფე სოლომონ II-ის დასაბრუნებლად კი არ იბრძოდნენ, მისი სახელიც არ ახსოვდათ!** ასე სურს დღეს „ბაგრატოვანთა სახლს“. არც იმ ფაქტს ახსენებენ, რომ მეფე სოლომონ II-ის მიერ 1804 წელს ხელმოწერილი ელაზნაურის ტრაქტატის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მას მამრობითი სქესის შვილი არ ეყოლებოდა, იმერეთის ტახტის მემკვიდრეობა კონსტანტინე ბატონიშვილზე გადადიოდა, რომლის შთამომავლები დღეს ინგლისში ცხოვრობენ და რომლებსაც „ბაგრატოვანთა სახლმა“ მემორანდუმის შესახებ ან არ აცნობა, ან მათ ხელი არ მოაწერეს.

ბაგრატიონები ასევე, თვალს ხუჭავენ ჩემს მიერ მითითებულ ფაქტობრივ შეცდომებზე, იმაზეც კი, რომ მემორანდუმში დაფიქსირებული ერთი მცდარი ვერსია (რომლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამაზე ტახტის მემკვიდრის სტატუსი, ვითომდა, 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა), ი. ბიჭიკაშვილმა 2016 წელს გამოცემულ წიგნში ახალი, ასევე მცდარი ვერსიით შეცვალა, ანუ ძველი ვერსია გააბათილა. არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, გაბათილებულ მემორანდუმზე ხელის მოწერები ისევ გრძელდებოდა. ჩემი წერილის შემდეგ, მან თავად აღიარა: **„ეს ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ „მემორანდუმის“ ხელმოწერის შემდეგ ყურადღება მივაქციე იმავე 1901 წლის გაზეთ „ივერიაში“ მოყვანილ ბოლო ცნობას სოლომონ I-ის უკანასკნელი შთამომავლის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შესახებ...“** ცნობაში მხოლოდ 21 წლის ახალგაზრდის, ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის უფაში ცხოვრების ფაქტია დაფიქსირებული, ბ-ნმა ი. ბიჭიკაშვილმა კი ამ ცნობას თავისი ფანტაზიით დაუმატა დასახელებული პირის „უშვილოდ გარდაცვალება“ და 1901 წელს მისი სტატუსის ქ-ნი ნინოს მამისთვის გადაცემის მცდარი ვერსია. ფაქტი ფაქტად რჩება: მემორანდუმში დაფიქსირებულ ვერსიას ჩემზე ადრე ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი დაუპირისპირდა და გააბათილა. ამის შემდეგ, ბაგრატიონებს შეუძლიათ, კვლავაც გააგრძელონ მემორანდუმზე ხელის მოწერები, მაგრამ რა იურიდიული ძალა აქვს ამგვარ დოკუმენტს, ეს უკვე სხვა საკითხია. მე მომიწოდებენ, რომ ხელი ავიღო ქვეყნის ერთიანობის დაშლაზე. რა არის ეს, თუ არა მკითხველის შეცდომაში შეყვანაზე გამიზნული ქმედება? რითი ვშლი, ან რა გეგმა წამოვწიე?

თვით „ბაგრატოვანთა სახლის“ მემორანდუმში გარკვევით არის აღიარებული იმერეთის სამეფო სახლის მეთაურის სტატუსი, მხოლოდ ისინი დღეს მეთაურად და მის სამეფო უმაღლესობად კახელ ჯაფარიძეს აღიარებენ, რომელმაც დედის გვარი – ბაგრატიონი მიიმატა, მე კი იმერელ ბაგრატიონს, რომელსაც მამის გვარი არ შეუცვლია. სულ ეს არის და ეს. ახლა ვნახოთ, რას მაბრალებენ პატივცემული ბაგრატიონები: „ნამდვილად სამწუხაროა, რომ თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივიწყოს. როგორ ვერ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ ამგვარი ქმედებით იგი საკუთარი ქვეყნის ერთიანობის იდეას ვნებს?! არ გვინდა, დავიჯეროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღემდე აქვს სურვილი საქართველოს დაქუცმაცებისა.“ რა შესანიშნავი ტექსტია, მხოლოდ ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონს უფრო მიესადაგება, ვიდრე მე. ლიტონი ნათქვამი რომ არ გამოგვივიდეს, გავეცნოთ საქართველოს დაქუცმაცების გეგმას. ამისთვის უნდა ჩავიხედოთ წიგნში „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“ (2016). საქართველო, ტორტივით, 14 ნაჭრად უნდა დაჭრან. 7 მსუყე ნაჭერი ბაგრატიონების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლებმა უნდა დაინაწილონ, (მაგ., ბაგრატიონ-ბაბადიშებმა და სხვებმა), დარჩენილი 7 ნაჭრიდან 3 მთავართა საგვარეულოებს უნდა შეხვდეს, ხოლო 4 – თავადურ საგვარეულოებს, მათ შორის ჯაფარიძეებს. არ არის დაზუსტებული, თუ რომელი კუთხის წარმომადგენლებს: თავადი ჯაფარიძეები რაჭაში იყვნენ, რაც ნიშნავს, რომ რაჭველ ერისთავებთან ბრძოლა გარდაუვალი იქნება!

ასევე, ატყდება ბრძოლა და დავა თავადურ საგვარეულოებს შორის, ასევე საგვარეულოებს შიგნით და გაბრწყინდება საქართველო ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონის მეფობით! აი, ასეთი მომავლისთვის იბრძვიან ჩემი საწინააღმდეგო ოფიციალური პასუხის ხელმომწერი ბაგრატიონები. უნდა აღვნიშნო, რომ ბაგრატიონებისადმი ტრადიციული პატივისცემის გამო, ზოგმა მეცნიერმა ისე მოაწერა მემორანდუმზე ხელი, რომ როგორც ჩანს, ტექსტი არ წაუკითხავს. გამონაკლისი გახლავთ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომლის ხელმოწერას მემორანდუმზე ვერ ნახავთ. ცხადია, ვერც ჩვენი უწმინდესი შეიყვანეს შეცდომაში. გარდა ამისა, განა 200-წლიანი წყვეტის შემდეგ, ტახტის მემკვიდრის სტატუსზე პრეტენზიის მქონე ნუგზარ ბაგრატიონს არ უნდა წარმოედგინა თავისი ვინაობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას არ გააჩნია თავისი მამის პეტრე პეტრეს ძის დაბადების პირველადი მოწმობა, რითაც დადასტურებული იქნებოდა, რომ ის თავისმა მამამ შვილად სცნო. თუ ამგვარი დოკუმენტი არსებობდა, მაგრამ დაკარგულია, ასეთ შემთხვევაში დღეს უკვე არსებობს გამოსავალი – დნმ-ის ტესტი. მით უმეტეს, რომ ქართლ-კახეთის წარმომადგენელი ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი შესწავლილია და ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარი ტესტები ევროპისა და დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლების წევრებმაც ჩაიტარეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ ეჭვის თვალით არ უყურებდა. ბ-ნი ნუგზარი კი ტესტის გაკეთებას უკადრისობს. თუ ასეა, მაშინ ზემოხსენებული (არარსებული) დოკუმენტი დადოს. უნდა შევახსენო, რომ ის არათუ მირონცხებული მეფე არ არის, არამედ, არც ეკლესიის მიერ არის აღიარებული. კარგი იქნება, თუ მეტ თავმდაბლობას გამოიჩენს.

ახლა და-ძმა ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეების (კახური აზნაურული შტოს) პუბლიკაციას გადავხედოთ: **„ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს“. რამდენჯერ უნდა ავუხსნა, რომ მათი დედის, შესანიშნავი ქალბატონი ნინოს გვარი ბაგრატიონი იყო და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი! ის წლების მანძილზე, გარდაცვალებამდე, სწორედ ბაგრატიონის გვარით მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში** (რისი ოფიციალური ცნობაც მაქვს). ბაგრატიონ-იმერეტინსკების შტო კი სოლომონ I-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილისგან, გიორგი ბუშისგან მომდინარეობდა და 1901 წლის შემდეგ არსად გამოჩენილა. ამდენად, მემორანდუმზე ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მიერ „ბაგრატიონ-იმერეტინსკების სამეფო სახლის“ სახელით ხელმოწერას არავითარი ძალა არა აქვს, რასაც ნებისმიერ დონეზე დოკუმენტურად დავამტკიცებ. პატივცემული და-ძმა წერს: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2017 წ.№2,) მანანა ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩვენი გაოცება და იმავდროულად აღშფოთება გამოიწვია ჯერ იმ არაპროფესიონალიზმმა და სტილმა, რომელიც უფრო ბულვარული გამოცემის მკითხველებისათვის იქნებოდა შესაფერისი, მერე კი ნინო დავითის ასული ბაგრატიონ-იმერეტინსკისა და მისი წინაპრებისადმი ყოვლად გაუგონარმა და უსაფუძვლო პასკვილებმა, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერების კვლევებთან“. ამის დამწერნი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგია, მართალია, სტატიების შინაარსში ნაკლებად ერევა, მაგრამ არავის მისცემს ნებას, რომ სამეცნიერო ჟურნალი ბულვარულ გამოცემას დაამსგავსონ.

ამგვარი განცხადებით, ბაგრატიონთა მიერ მათ სამეფო უმაღლესობებად აღიარებული ბაგრატიონი-ჯაფარიძეები მეტად წარმომადგენლობით სარედაქციო კოლეგიასაც შეურაცხყოფას აყენებენ. მე ხომ მლანძღავენ და მლანძღავენ, ფსევდომეცნიერსაც მეძახიან და იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თავად ფსევდომკითხველები არიან, რადგან დასახელებულ სტატიაში ამოუკითხავთ ისეთ პირებზე მსჯელობა, რომლებიც იქ ნახსენები არ მყავს, მაგალითად, ირაკლი ბაგრატიონის წინაპრები და ხიდირბეგიშვილები. ახლა კი მათ მსჯელობას მოვუსმინოთ, თან ისეთ საკითხზე, რომელსაც „მაცნეში“ არ ვახსენებ: **„მანანა ხომერიკის ლოგიკას თუ გავყვებით „სამართლიანობის აღდგენისათვის“ საჭიროა 7 თაობით უკან დაბრუნება (ანუ XVIII ს-ის მეორე ნახევარში), ბატონიშვილი ბაგრატის დაქორწინება ქალზე, რომლის გვარიც კი არავინ იცის. ეს ინსინუაციები აშკარად აბსურდულია...“ მაგრამ მთელი ეს აბსურდი ხომ მათივე, ანუ ამ და-ძმის მოგონილია და არა ჩემი! ახლა თავად დაბრუნდნენ, სადაც ენებოთ, გაიგონ ქალბატონი ნინოს წინაპარი ქალის – ლეჩხუმელი კოჩილას ცოლის გვარი, შემდეგ დაქორწინონ იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ზე, მათი უკანონო შვილი – მეფე ალექსანდრე IV კანონიერ შვილად აქციონ: „ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელისა კოჩილას ცოლისაგან, რომელსა ბაგრატ მეფე თანაეყოფოდა სიძვად“.** ამის მერე, ალექსანდრე მეფეს რომ უკანონო შვილი – მეფე გიორგი VI ეყოლა, ისიც კანონიერად აქციონ და ა. შ. იქნებ, იმერეთის უკანონოდ შობილი მეფეები მათი წინაპრები არ ყოფილან? ჯერ ეს დაადგინონ და მერე დასცინონ სხვებს!

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲕᲐᲓᲒᲔᲜ ᲘᲛ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ, ᲐᲜ Ბ-ᲜᲘ Ი. ᲑᲘᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜ.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიოსის და ოინუსისის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲐᲬᲧᲕᲐᲚᲗᲐᲨᲘ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებსა და პედაგოგებს მაღალმთიანი აჭარის სოფელ მაწყვალთიდან მიულოცა, სადაც მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს ახალ სკოლაში შეხვდნენ.

მაწყვალთის საჯარო სკოლის გახსნის ცერემონიალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინგა შამილიშვილი, შუახევის მერი ფრიდონ ფუტკარაძე და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე ესწრებოდნენ.

პროექტის მიხედვით აშენდა 100 მოსწავლეზე გათვლილი ორსართულიანი შენობა სპორტული დარბაზით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის საჭირო ყველა მოთხოვნას. მოეწყო საკლასო და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები, ბიბლიოთეკა, შშმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. სასკოლო კაბინეტები და სპორტული დარბაზი აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით.

ამჟამად სკოლაში სწავლობს 41 მოსწავლე, რომელთა შორის მხოლოდ 3 პირველკლასელია, სკოლაში დასაქმებულია – 23 პედაგოგი. სკოლას აქვს საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა 8000-ზე მეტი სასკოლო და მხატვრული ლიტერატურით. სკოლის ახალი შენობის მშენებლობისთვის 734 444 ლარის სამუშაოები განხორციელდა. 2018 წელს სკოლას 400-მდე დასახელების მხატვრული ლიტერატურა გადაეცა აჭარის ა/რ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამით.

ᲡᲚᲘᲞ ᲡᲐ�პᲔᲜᲡᲘᲝ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ

ᲡᲐ�პᲔᲜᲡᲘᲝ სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ ლევან სურგულაძე სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანონის თანახმად, კონკურსის წესით შეარჩია.

სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორის პოსტზე საჯარო კონკურსი 10 აგვისტოს გამოცხადდა, სულ შემოვიდა 70 განაცხადი. შემოსული განაცხადებიდან კონკურსის ფინალური ეტაპისთვის სამეთვალყურეო საბჭომ 8 კანდიდატი შეარჩია – მათ 14 სექტემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საბჭოს წევრებთან გასაუბრება გაიარეს. სამეთვალყურეო საბჭომ ლევან სურგულაძე საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე ერთხმად დაამტკიცა. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ აღნიშნა, მისი თანამდებობაზე დანიშვნისას მთავარი ფაქტორები იყო – პროფესიონალიზმი, მდიდარი სამუშაო გამოცდილება და ამ პოსტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

რა იზიდავთ ირანელებს საქართველოში?!

საქართველოში ბინადრობის უფლების მიღება უზრუნველყოფილია, რაც შენგენის ზონაში დაშვების იმედს მაძლევს

„ირანელები, რომლებთაც ქვეყანაში დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა „ყელში აქვთ ამოსული“, იმედის მზერას ისტორიულად საოცნებო ქვეყანას აპყრობენ: საქართველო მათთვის ევროპაში გასასვლელ კარს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ორ სახელმწიფოს შორის 2016 წელს უვიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმება გაფორმდა, კავკასიურ ქვეყანაში წამსვლელ ირანელთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. უკვე ბევრი ირანელი ფიქრობს საქართველოში დამკვიდრებას, სადაც საცხოვრებელი ბინის ქირა, ცხოვრების ღირებულება და ინფლაციის დონე (2,8%) ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ირანში (9,4%)“ — ასე იწყება ამერიკული გამოცემის „Al-Monitor“-ის მიერ რუჰოლა ფაგიჰის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

როგორც საქართველოში ირანის ელჩის სეიედ ჯავად ყავამშაჰიდის მიერ 24 აგვისტოს გაცხადებული მონაცემები მოწმობს, უვიზო რეჟიმის შეთანხმებაზე ხელმოწერამ ხელი შეუწყო ირანელთა დაინტერესებას საქართველოს მიმართ და შედეგმაც არ დააყოვნა: ბოლო 12 თვის განმავლობაში ქვეყანას 323 ათასი ირანელი ეწვია და თუ ასეთი ტემპი გაგრძელდება, მომავალ წელს რაოდენობა შეიძლება ერთ მილიონამდე გაიზარდოს.

ირანელების ინტერესი საქართველოსადმი ნაწილობრივ ორი ქვეყნის ისტორიული და კულტურული ურთიერთობების სპეციფიკით არის გამოწვეული: დღევანდელი საქართველო მე-19 საუკუნემდე გარკვეულ პერიოდებში სპარსეთის იმპერიის სიუზერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდა. XVI საუკუნეში სეფევიდების დინასტიის გავლენიანმა შაჰმა თამაზ I-მა ტყვედ ჩაიგდო და სპარსეთში წაიყვანა 10 ათასობით ქართველი, რომლებმაც მოგვიანებით ერთობ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატიაში.

მაგრამ ირანელთა უმეტესობისათვის საქართველოს მიმართ გაჩენილ ინტერესს უფრო ეკონომიკური საფუძველი აქვს, ვიდრე კულტურული. ამერიკის მიერ გამოცხადებულმა სანქციებმა ირანელთა ცხოვრების დონის დაცემა და მათი მსყიდველობითი უნარის შემცირება გამოიწვია და ამიტომ, ჩვეულებრივი მოქალაქეები, განსაკუთრებით კი საშუალო ფენის წარმომადგენლები, ამ მეზობელ ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყებას ცდილობენ: ისინი თავს შედარებით დაცულად იგრძნობენ — არ დაზარალდებიან ეკონომიკური სიტუაციისა და დასავლური ემბარგოსაგან.

ირანელების მომრავლებამ საქართველოში თვით ირანის პოლიტიკური წრეების ყურადღებაც მიიპყრო: პარლამენტის წევრმა მეჰრად ლაჰუთიმ შეშფოთება გამოხატა, რომ ირანის მოქალაქეები ინვესტიციების ჩადებას, სამშობლო ქვეყნის ნაცვლად, საქართველოში ცდილობენ. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, 26 აგვისტოს დეპუტატს ასე უთქვამს: **„ადრე ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ინვესტიციებს მხოლოდ მდიდარი ირანელები დებდნენ, ახლა ამას თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი აკეთებს. რამდენიმე დღის წინათ ქიმწმენდაში ვიყავი და მფლობელმა მითხრა, საქართველოში სახლი ვიყიდეო“.**

თეირანის ტურისტული კომპანიები, რომლებიც ირანის მოქალაქეებს საქართველოში ბინადრობის უფლების მიღებაში ხელს უწყობენ, აცხადებენ, რომ თხოვნების რაოდენობამ იმატა. მიზეზების გასარკვევად Al-Monitor-ის კორესპონდენტი ესაუბრა თეირანში არსებული რამდენიმე კომპანიის თანამშრომლებს.

კომპანია Ayene-ს კონსულტანტის მაჰსა სეიედის თქმით, საქართველოში ირანელები იმიტომ მიდიან, რომ მოკლევადიანი ყოფნისათვის ვიზა საჭირო არ არის და იქ ბინადრობის მოწმობის მიღება ძალიან ადვილია. მაჰსა სეიედმა განმარტა, რომ ბევრი ირანელი, რომლებსაც საქართველოში ბინადრობის უფლების მიღება სურთ, პირველ რიგში უძრავ ქონებას ყიდულობენ: **„თბილისში საცხოვრებელი ბინის ყიდვა 35 ათას დოლარად შეიძლება. გარეუბნებში უფრო იაფადაც შეიძენთ. უძრავი ქონების ყიდვის შემდეგ თქვენ გეძლევათ ბინადრობის უფლება ერთი წლის ვადით. თუ ასე ექვსი წლის განმავლობაში გააგრძელებთ, თქვენ უკვე მუდმივი ცხოვრების უფლებასაც მიიღებთ“.** როგორც კონსულტანტმა აღნიშნა, ადგილობრივი მცხოვრებლები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან და ირანელთა მიმართ რაიმე წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი არ აქვთ: **„ქართველები უცხოელებს კარგად ეპყრობიან. მე პირადად არანაირი საჩივარი არ გამიგია ირანელებისაგან მათი ცუდი დამოკიდებულების თაობაზე“.**

2017 წლის მარტის ბოლოდან ქართველებმა ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება მიიღეს. ამ ფაქტმა იმის იმედი გააძლიერა, რომ 2020 წლისათვის საქართველოს მოქალაქეებს და მათ, ვისაც საქართველოში ცხოვრების უფლება აქვთ, ევროპის ქვეყნებში არამარტო მოგზაურობის, არამედ მუშაობის, სწავლის და ჩასახლების უფლებაც ექნებათ.

კომპანია Georgia Amlak-ის კონსულტანტი **მოჰსენ სალმანი** Al-Monitor-თან საუბარში ამბობს, რომ **„ისინი, ვისაც საქართველოში წასვლა სურთ, პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველ ჯგუფს ბინადრობის უფლების მიღება და საქართველოში ცხოვრება სურთ, რათა ეკონომიკური პრობლემების შიში აღარ ჰქონდეთ და აშშ-ის მუდმივი სანქციების ქვეშ აღარ იყვნენ. მეორე ჯგუფს იმედი აქვს, რომ საქართველოში ბინადრობის უფლების მიღება მათ ევროპაში ცხოვრების უფლების მიღებაშიც დაეხმარება, თუ, რასაკვირველია, საქართველო შენგენის ზონის ნაწილი გახდება (2020 წლისათვის)... ეს საკმაოდ მომხიბლავი ფაქტორია, რომელიც ირანელებს საქართველოში იზიდავს. იმ დროს, როცა ევროკავშირის ქვეყნების საელჩოები ვიზის გაცემის ვადებს ამკაცრებენ, საქართველო ღია კარის როლს ასრულებს იმ ირანელებისათვის, რომლებსაც ევროპის ქვეყნებში წასვლა შედარებით უფრო იოლად სურთ, რიგი საელჩოების მიერ დაწესებული ბარიერების გარეშე“.**

Al-Monitor-ის კორესპონდენტი ესაუბრა თეირანის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული რესტორნის ყოფილ მენეჯერს **ეჰსან ზაჰირს,** რომელმაც თქვა: **„მე საქართველოში გასულ წელს ვიყავი, რათა გამეგო, რა ქვეყანაა ისეთი, სადაც ბევრს სურს წასვლა-მეთქი. ჰოდა, ოთხი თვის წინათ იქ ბინის ყიდვა გადავწყვიტე. ეკონომიკა ვითარდება, ცხოვრების ფასი ნორმალურია. ირანისაგან განსხვავებით, საქართველოში ცხოვრების დროს ფულის დაზოგვაც შეიძლება, ბინადრობის უფლების მიღებაც უზრუნველყოფილია, რაც შენგენის ზონაში დაშვების იმედს მაძლევს 2020 წლისათვის. მე ევროპაში თავისუფლად მოგზაურობის შესაძლებლობა მექნება“.**

მართალია, ვიზალიბერალიზების შეთანხმების მიხედვით, შენგენის ზონის ქვეყნებში წელიწადში 180 დღით ყოფნის უფლება მხოლოდ ქართული პასპორტის მფლობელებს აქვთ, თეირანში საიმიგრაციო საკითხთა კონსულტანტები ირანელებს არწმუნებენ — საქართველოს მოქალაქეობის მიღება ძალიან მარტივია, თუ იქ ბინადრობის მუდმივი უფლება გექნებათო.

მაგრამ ირანის ელჩი სეიედ ჯავად ყავამშაჰიდი ყველას აფრთხილებს, რომ საიმიგრაციო კომპანიების დაპირებები საქართველოში ცხოვრების უფლების იოლად მიღების თაობაზე ხშირად თაღლითობას წარმოადგენს: **„საქართველოში უძრავი ქონების შეძენა არ იძლევა ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების გარანტიას“.** როგორც მან „ბი-ბი-სი“-ს ინტერვიუში განაცხადა, ირანის ბევრმა მოქალაქემ, რომლებმაც საქართველოში ბინადრობის უფლება დროებით მიიღეს, მისი ვადების გაგრძელება ვეღარ შეძლეს.

ირანის მოქალაქეების საქართველოში მიგრაციის მიზეზების განმარტებისას, ირანისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ირანული მხარის თავმჯდომარემ ფატემეჰ მოქიმმა 3 აგვისტოს, ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლების კითხვას, თუ რატომ დებენ ირანელები ინვესტიციებს საქართველოში, ასე უპასუხა: **„საქართველოს ეკონომიკა კარგ მდგომარეობაშია, ინვესტორები თავს დაცულად გრძნობენ. გარდა ამისა, ბინადრობის უფლების მიღებისას მათ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის შესაძლებლობაც შედარებით იოლად უჩნდებათ“.**

ამავე დროს ფატემეჰ მოქიმმა ირანელებს სიფრთხილისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ „დიდი შვიდეულის“ მიერ 1989 წელს შექმნილი ფინანსური ოპერაციების კონტროლისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამუშაო ჯგუფი ირანისაგან ცხრა პუნქტის შესრულებას მოითხოვს და მას არ დაეთანხმება, ქვეყანა **„შავ სიაში“** აღმოჩნდება, რაც საბანკო ანგარიშებზე ნეგატიურად იმოქმედებს. **„ეს ნიშნავს, რომ (ირანელი მოქალაქეების მიერ) საქართველოში ფულის შეტანა უპრობლემო არ იქნება და თუ იქ (ირანელები) საბანკო ანგარიშებს მაინც გახსნიან, მომავალში შეიძლება მათ პრობლემები შეექმნეთ“,** — განაცხადა ფატემეჰ მოქიმმა.

„Al-Monitor“ (აშშ)

დუბაის მმართველმა ცხენებში 19 მლნ დოლარი გადაიხადა

დუბაის მმართველმა მუჰამედ რაშიდ ბინ ალ-მაკტუმმა მსოფლიოს უმსხვილეს აუქციონზე 22 ცხენი იყიდა. აუქციონის დაწყების პირველივე დღეს შეიხმა ცხენებში 6,9 მლნ დოლარი გადაიხადა, ხოლო ოთხი დღის ნავაჭრის შედეგად დუბაის მმართველის მიერ 22 ცხენში გადახდილმა თანხამ 18.9 მლნ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ შეძენილი ცხენებიდან ერთ-ერთმა American Pharoah-ზე Triple Crown 2015 მოიგო და შედეგად 2.2 მლნ დოლარიც დაიმსახურა. აშშ-ში მიმდინარე აუქციონი 23 სექტემბერს სრულდება.

კიევმა რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება გაწყვიტა

უკრაინამ რუსეთთან თანამშრომლობის, მეგობრობისა და პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება გააუქმა, შესაბამის განკარგულებას ხელი უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მოაწერა. ქვეყნის საგარეო უწყება რუსულ მხარეს ამის შესახებ ოფიციალურად აცნობებს. ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროსა და ეუთოსაც გაეგზავნება.

პუტინი პენსიაზე გასვლას არ აპირებს!

რუსეთის პრეზიდენტმა ჩინელ ბიზნესმენს, კორპორაცია Alibaba-ს დამაარსებელს ჯეკ მას განუცხადა, რომ პენსიაში გასვლას არ აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განუცხადა. პესკოვი ყვება, რომ აღმოსავლეთ ფორუმზე პუტინი ჯეკ მას შეხვდა და გავრცელებული ხმები, იმის შესახებ, რომ მა პენსიაზე გასვლას აპირებს, გაიკვირვა. „რა დროს თქვენი პენსიაა? ასეთი ახალგაზრდა ხართ, აი მე არ ვაპირებ პენსიაზე გასვლას.“ — განაცხადა 65 წლის ვლადიმერ პუტინმა.



„გაურკვევლობის პრინციპის“ უცნაური სურათები

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც მეცნიერებს აღელვებთ, ესაა წინასწარ განსაზღვრა-განჭვრეტის საკითხი. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იმ მოვლენათა ჯაჭვია, რომელიც ჩვენს ირგვლივ ხდება: რა არის ეს – შემთხვევითობაა თუ რაღაც უზენაესი ძალის ჩანაფიქრი? –. ამ საკითხზე თავად ალბერტ აინშტაინიც ბევრს ფიქრობდა: ნუთუ ღმერთი კამათელს თამაშობსო?

ფატალისტებისა და ანტიფატალისტების მარადიულ კამათში წერტილის დასმა მე-20 საუკუნის დასაწყისში ფიზიკოსმა ვერნერ ჰეიზენბერგმა სცადა. მის მიერ ჩამოყალიბებული „განუსაზღვრელობის პრინციპის“ თანახმად, სამყარო განუჭვრეტელია, არანაირი განსაზღვრულობა მასში არც არის და არც შეიძლება რომ არსებობდეს. ფიზიკოსთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ყველა დამთხვევა – ეს მხოლოდ ბრმა შემთხვევითობაა. მაგრამ, ზოგჯერ შემთხვევითობა იმდენად გასაოცარია, რომ უნებლიეთ ეჭვი გვეპარება – ყოველივე განგების ნება ხომ არაა. ქვემოთ რამდენიმე ასეთ შემთხვევას მოვიყვანთ, რომელთაგან ზოგის შესახებ იქნებ ადრეც გსმენიათ.

მათ შორის პირველი საქვეყნოდ ცნობილია ტრანსატლანტიკური სამგზავრო გემის „ტიტანიკის“ ამბავია. 1898 წელს მწერალმა **მორგან რობერტსონმა** რომანში „ამაოება“, აისბერგთან შეტაკების შემდეგ უზარმაზარი ხომალდის „ტიტანის“ პირველსავე რეისში დაღუპვის ისტორია აღწერა. 1912 წელს კი, ანუ რომანის გამოსვლიდან 14 წლის შემდეგ, დიდ ბრიტანეთში წყალში სამგზავრო ხომალდი „ტიტანიკი“ ჩაუშვეს, რომელიც საუთჰემპტონიდან გამოვიდა და პირველ რეისში, რომელიც სავალალოდ უკანასკნელიც გამოდგა, გეზი ნიუ-იორკისკენ აიღო. ცნობილია, რომ ერთ-ერთი მგზავრის ჩემოდანში შემთხვევით ხომალდ „ტიტანის“ დაღუპვაზე დაწერილი „ის“ ავბედითი რომანი იდო(?!) წიგნში აღწერილი ამბავი ცხოვრებაში ლამის ერთიერთზე სიზუსტით მოხდა. ორივე ხომალდის ზღვაში გასვლამდე პრესაში არნახული აჟიოტაჟი იყო ატეხილი, რაც მათ არნახულ ზომებს უკავშირდებოდა. ორივე გემი, რომელთა ჩაძირვა წარმოუდგენელ ამბად მიიჩნეოდა, ყინულის მთას აპრილში შეასკდა, ორივეს მგზავრებს შორის უამრავი ცნობილი პიროვნება იყო, ორივე შემთხვევაში ავარია კაპიტნების უგერგილობისა და, სამაშველო საშუალებათა არასაკმარისი ოდენობის გამო, მალევე კატასტროფად იქცა...

1939 წელს კი, ატლანტიკის ოკეანის იმავე რაიონში, სადაც „ტიტანიკი“ დაიღუპა, ღამით კიდევ ერთი გეამი – „ტიტანი“ მიცურავდა. უცბად მესაჭემ ჰუმანით ხომალდის გაჩერების ბრძანება გასცა. სვლა რომ შენელდა, სიბნელიდან უზარმაზარმა აისბერგმა გამოცურა და გემის კორპუსს შეეჯახა. მართალია, დარტყმა კი იყო ძლიერი, მაგრამ მესაჭის ჰუმანმა „ტიტანი“ დაღუპვისგან იხსნა...

1883 წელს, ერთმა ტეხასელმა (აშშ) გაიძვერამ **ჰენრი ზიგლენდმა** სატრფო მიატოვა, რომელმაც სიმწრისგან თავი მოიკლა. მისმა ძმამ შურისძიება გადაწყვიტა, მაგრამ მისმა ნასროლმა ტყვიამ ზიგლენდს მხოლოდ სახე გაუკაწრა და ხეს მოხვდა, თუმცა მას სისხლი წასკდა და ძირს დაეცა, ძმამ კი, რომელმაც იფიქრა, შური ვიძიეო, ადგილზევე თავი მოიკლა!

30 წლის შემდეგ, 1913 წელს, ზიგლენდმა იმ ხის მოჭრა გადაწყვიტა, რომელსაც ტყვია მოხვდა, მაგრამ ხერხით ვერაფერს გახდა, ამიტომაც მისი დინამიტით აფეთქება გადაწყვიტა. აფეთქებისას კი ხის ტანში გაჭედილი ტყვია გამოვარდა და ზიგლენდს თავში მოხვდა. ამრიგად, მიცვალებულმა ძმამ „სისხლი აიღო“ სამი ათეული წლის შემდეგ!

კიდევ უფრო გასაოცარ დამთხვევათა ჯაჭვზე აიკინძა 1994 წლის გაზაფხულზე მომხდარი ამბავი. ახალგაზრდა ამერიკელმა რონალდ ოფუსმა თავის მოკვლა გადაწყვიტა. უკანასკნელ ბარათში მან დაწერა, რომ ამ ნაბიჯს ფინანსურ პრობლემათა და მშობლების მხრიდან მის მიმართ გულგრილობის გამო დგამდა, შემდეგ ფანჯრის რაფაზე აძვრა და მეცხრე სართულიდან გადახტა. ცხადია, მას რომ სცოდნოდა იმ დღეს ფანჯრების მრეცხავებმა მე-7 სართულის დონეზე დამზღვევი ბადე გაჭიმეს, ამას არ ჩაიდენდა. ოფუსმა ორი სართული რომ იფრინა, ამ ბადეს დაეცა და უთუოდ გადარჩებოდა, რომ არა ერთი ავბედითი შემთხვევა – როცა მან მე-8 სართულს ჩაუფრინა, ქვედა ბინის ერთ-ერთი ოთახიდან გამოვარდნილი ტყვია მოხვდა, რომელიც იქაურმა ბინადარმა ისროლა. ვიდრე პოლიცია ცხედარს ბადიდან იღებდა, დეტექტივებმა გადაწყვიტეს ყიამყრალი მოხუცისთვის, რომელმაც ისროლა, უნებლიე მკვლელობაში ბრალის წაყენება, მაგრამ მერე და მერე გამოიძებამ უფრო გასაოცარი ფაქტები გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ მოხუცმა თავის ცოლს ესროლა, მაგრამ ნასროლი მიზანს ასცდა და ფანჯარას მოხვდა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დეტექტივებმა ბრალდების კორექტირება და უნებლიე მკვლელობის ბრალდებაზე ცოლის მკვლელობის მცდელობის დამატება გადაწყვიტეს. არადა, ამასობაში კაცმა განაცხადა, რომ არავის მოკვლას არ აპირებდა: უბრალოდ, უსიამოვნების დროს მან კედლიდან დაუტენავი თოფი ჩამოიღო და ცოლს ჩახმახის ჩხაკუნით აშინებდა. ეს კი მათი ერთგვარი საოჯახო „რიტუალი“ იყო: ცოლ-ქმარი ერთხმად ამტკიცებდა, რომ სანადირო თოფი კედელზე მუდამ დაუტენავი ეკიდა.

ამდენად, ამერიკული კანონმდებლობით, არაგანზრახ მკვლელობაში ბრალდება ახლა იმას უნდა წაყენებოდა, ვინც თოფი დატენა. აღმოჩნდა, რომ მეუღლეთა ოთახში თავისუფლად შესვლა მხოლოდ მათ ვაჟიშვილს შეეძლო. დეტექტივები ამ ახალგაზრდის მეგობარს დაუკავშირდნენ და ბევრი საინტერესო ამბავიც დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ მას დიდი ხნის წინათ ჩაუფიქრია მშობლებზე შურისძიება, რომლებმაც მატერიალური დახმარების გაწევაზე უარი უთხრეს. შვილმა, იცოდა რა, რომ მამამისი ხშირად ემუქრებოდა დედამისს კედელზე დაკიდებული თოფით, ის უჩუმრად დატენა იმის იმედით, რომ პირველსავე უსიამოვნების დროს იგი დედამისს მოკლავდა, თავად კი დილეგში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ნაძირალა შვილის იმედის გასაცრუებლად, ბოლო კვირების განმავლობაში ცოლ-ქმარი შეხმატკბილებულად ცხოვრობდა. ჰოდა, ბუნებრივი კითხვაც წარმოიშვა – სად იმყოფებოდა ამ დროს ეს არაკაცი?

„როგორ თუ სად? – გაუკვირდა მამას. – ის ხომ ჩვენს ზედა, მე-9 სართულზე ცხოვრობს!“

დიახ, ბატონებო, ეს ახალგაზრდა თავად რონალდ ოპუსი აღმოჩნდა! მან დატენა თოფი, ხოლო როცა „შურისგება“ ვერ შედგა, სასოწარკვეთილმა ფანჯრიდან ისკუპა. იმის მიუხედავად, რომ ეს ამბავი ძალიან ჰგავს მოგონილს, მასში მოყვანილი ყველა ფაქტი ამერიკის სასამართლო მეცნიერებათა ასოციაციის მიერაა დადასტურებული.

* * *

– სასწაულებრივი დამთხვევები ყველას დიდად გვაოცებს, თუმცა კი მათემატიკურად მათი წინასწარმეტყველება სავსებით შესაძლებელია, – აცხადებს მალბორო-კოლეჯის მათემატიკის საპატიო პროფესორი, წიგნის „შემთხვევის თამაში. მათემატიკისა და მითოლოგიის დამთხვევის“ ავტორი **ჯოზეფ მაზური**. – ჭეშმარიტად დიდი რიცხვების კანონით, **თუკი რომელიმე შემთხვევის მოხდენის რაგინდ მცირე ალბათობა მაინც არსებობს, ადრე თუ გვიან ის აუცილებლად მოხდება**. მე გამოთქმა „ადრე თუ გვიან“ გამოვიყენე, მაგრამ დამთხვევები იმაზე გაცილებით ხშირად ხდება, ვიდრე გვგონია. ჩვენი სამყარო იმაზე დიდია, ვიდრე წარმოგვიდგენია: **ყოველწამიერად შვიდი მილიარდი ადამიანი, როცა გადაწყვეტილებას იღებს, რომელთაც დამოუკიდებელ შედეგთა უზარმაზარი ოდენობა მოჰყვება. ნაკლებად სავარაუდო მოვლენები უბრალოდ იმიტომ ხდება, რომ ჩვენც ბევრნი ვართ და შემთხვევათა ვარიანტების უსაზღვრო ოდენობაცაა. თანაც უცნაურ დამთხვევათა ფესვები შესაძლოა იმდენად ღრმად იდოს, რომ მათ მოკვლევას ვერასდროს შევძლებთ**. გაცილებით მარტივია, ვიწამოთ მათი მოულოდნელობა, ვიდრე უიშვიათესი, თუმცა კი ჩვეულებრივი ამბავი: ამ დროს თავს უფრო გულდამშვიდებულად ვგრძნობთ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ბოლო წლებში 9.700 ჰექტარი ტყე გაქრა!

ქვეყნის მასშტაბით ტყეს 63 კომპანია ჩეხს!

თანდათან ირკვევა, რომ მსხვილი კომპანიები უფრო მეტ ტყეს ანადგურებენ, ვიდრე მოსახლეობა. არადა, წლების განმავლობაში ხე-ტყის ჩეხვა სწორედ ხალხს ბრალდებოდა და შეშის მოპოვება ლამის ეკოლოგიურ კატასტროფად ფასდებოდა. ბოლო 3 წელიწადში 63-მა ლიცენზირებულმა კომპანიამ ქვეყნის მასშტაბით 12 მლნ კბ/მ-ზე მეტი ხე მოჭრა.

ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით მოჭრილი ხის მერქნის სანაცვლოდ ბიზნესკომპანიებმა სახელმწიფო ბიუჯეტში (2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით) 3 405 640 ლარი გადაიხადეს. ხის მერქნის მოჭრაზე ტყის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ლიცენზიას 63 კომპანია ფლობს. 2015-18 წლებში კომპანებმა 12 332 360 კუბური მეტრი ხის მერქანი მოჭრეს.

თუ რა რაოდენობის მწვანე საფარი გაანადგურეს ბიზნესკომპანიებმა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, აღნიშნული ინფორმაცია „კომერსანტმა“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან გამოითხოვა.

სტატისტიკამ აჩვენა, რომ 63 ლიცენზიანტიდან ყველაზე მეტი ხის მერქანი 8 კომპანიამ მოჭრა.

ყველაზე მეტი თანხა ხის მერქნის მოჭრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ გადაიხადა. კომპანიის მიერ მოჭრილმა ხის მერქნის მოცულობამ – 3 313 140 კუბური მეტრი შეადგინა. გადახდილმა თანხამ კი 1 372 696 ლარი ხის მერქნის ჭრის სტატისტიკაში მეორეა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“. კომპანიამ 3 645 540 კუბური მეტრი მერქანი მოჭრა და ბიუჯეტში 964 105 ლარი გადაიხადა.

ამ სტატისტიკაში მესამეა სს „სვანეთი ჰიდრო“ – კომპანიამ 1 146 78 კუბური მეტრი ხის მერქანი მოჭრა და ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 391 422 ლარი შეადგინა.

მეოთხეა შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“. მოჭრილი ხის მერქნის მოცულობამ 1 260 40 კუბური მეტრი, ხოლო გადახდილი თანხა 196 919 ლარია.

მეხუთეა შპს „ენერგო ინვესტი“, რომელმაც 255 კუბური მეტრი მერქანი მოჭრა და ბიუჯეტში 74 673 ლარი გადაიხადა.

ფაქტია, რომ მოსახლეობაზე მეტად ტყეებს მსხვილი ორგანიზაციები ჩეხენ და მერე ტყეების განადგურება ხალხს ბრალდება. „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარე **მანანა ქოჩლაძე** ამბობს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტყისა და ხეების მასობრივად გაჩეხვის ფაქტები დიდი კომპანიების მიერ ფიქსირდება, რომლის ნებართვასაც თავად სახელმწიფო გასცემს.

„სვანეთში მიმდინარე პროცესები ერთგვარი საჩვენებელი დასჯა იყო. იმაზე არავინ დავობს, რომ ხე-ტყის უკანონოდ მოპოვება დაუშვებელია, მაგრამ სად არის გაშიფრული ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ამ რეგიონში წლებია, მუშაობს? როგორ გამოაქვთ ამ ადამიანებს ეს მასალა სვანეთიდან? იქ დიდი ხანია, ფინანსთა სამინისტროს ინსპექტორები დგანან, რომლებიც ყველა გამსვლელსა და გამომსვლელს აკონტროლებს. სად მიაქვთ რეალიზაციისთვის გამზადებული მასალა? ვინმემ ის ხალხი დააკავა? დიდი კომპანიები ტყეს და ჩვენს გარემოს რა ზიანს აყენებენ, მათთან მისული სპეცრაზმი ვინმემ ნახა?“, – აცხადებს მანანა ქოჩლაძე.

მისივე თქმით, ხე-ტყის მასობრივი ჩეხვის თვალსაზრისით ყველაზე სავალალო მდგომარეობა საქართველოს ხუთ რეგიონშია: სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, ქვემო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სადაც ეკოლოგიური თვალსაზრისით დიდი კატასტროფის წინაშე ვდგავართ. ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანიც ამბობს, რომ საქართველოს ეკოლოგიური პრობლემები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური.

„გლობალ ფორესტ უოჩის“ მონაცემებით კი, 2001-2017 წლებში საქართველოში 9,700 ჰექტარი ტყე გაქრა. ტყის ყველაზე დიდი მოცულობა 2014 წელს გაიჩეხა – 1,97 ათასი ჰექტარი. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ 2017 წელს ტყის მასივი ყველაზე მასშტაბურად 5 რეგიონში შემცირდა, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში – 1,9%, თბილისში – 0,8 %, ქვემო ქართლში – 0,52%, კახეთში – 0,32%, იმერეთში – 0,27%.

ბექა დანელია

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲪᲮᲠᲐ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

3 ᲝᲥᲢᲛᲑᲔᲠᲡ, 2 ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 4 ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲛᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲛᲐ ᲡᲝᲤᲘᲐᲛ ᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲐ. ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲗᲖᲔ ᲐᲕᲘᲓᲔᲜᲔᲜ ᲚᲣᲙᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (81 ᲙᲒ), ᲝᲜᲘᲡᲔ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ (100 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (+100 ᲙᲒ). ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲔᲥᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲗᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲢᲐᲢᲝ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (81 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠ ᲚᲘᲞᲐᲠᲗᲔᲚᲘᲐᲜᲘ (57 ᲙᲒ), ᲮᲝᲚᲝ ᲯᲐᲑᲐ ᲞᲐᲞᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (60 ᲙᲒ), ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲜᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (66 ᲙᲒ), ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ (70 ᲙᲒ) ᲓᲐ ᲡᲝᲤᲘᲝ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (+78 ᲙᲒ) ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲜᲔᲜ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ორთაბრძოლები 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ტურნირი ქართული ფინალით დაგვირგვინდა. ლუკა მაისურაძე ახალგაზრდულ ევროპირველობაზე შარშან მეორე იყო, ამჯერად კი ყველას აჯობა: ზედიზედ დაამარცხა ბოსნიელი ვუკ ელეზი, ესტონელი ასლანბეგ მაგომედქერიმოვი, პორტუგალიელი მიგელ ალვეში და იტალიელი კრისტიან პარლატი. გადამწყვეტი დუელი „ოქროს დროში“ შესრულებული ვაზარით მოუგო თანაგუნდელ ტატო გრიგალაშვილს, რომელმაც, ასევე, ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან: გერმანელი ემილ ჰენიბახი, ჰოლანდიელი იან რეინტიენსი, უნგრელი რობერტ რაჟკარი და აზერბაიჯანელი მურად ფატიევი.

ონისე სანებლიძე ჭაბუკებში 2015 წლის ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ბრინჯაოს პრიზიორია, ბულგარულ ტატამზე კი ხუთივე მეტოქე ვადამდე დაჯაბნა: ფრანგი პაულ დევო, ჰოლანდიელი სიმეონ კატარინა, აზერბაიჯანელი ადილ ქარიმლი, გერმანელი დანიელ ჩორნი და კოსოვოელი შპატ ზეკა.

შარშანდელ ევროპირველობაზე გელა ზაალიშვილი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, ამჯერად კი ყველა კონკურენტს აჯობა: ჯერ უკრაინელ ვლადისლავ ბერეზკას სძლია, შემდეგ უნგრელ რიჩარდ ვაზულიკს, ჭაბუკებში ევროპის შარშანდელ ჩემპიონ დავით ბაბაიანს (რუსეთი) და სლოვენიელ ერიკ აბრამოვს აყარა შავი დღე.

კადეტებში ევროპის 2016 წლის ჩემპიონმა ეთერ ლიპარტელიანმა იპონებით დაამარცხა მაკედონიელი ბერნა შერიფოვსკა, ბრიტანელი ასელია ტოპრაკი, გერმანელი კაროლინ ფრიცი და ფრანგი მერილინ ლუის სიდნი, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა ფრანგ სარა ლეონი ცისიქთან დათმო.

საქართველოს გოგონათა და ვაჟთა გაერთიანებულმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის გუნდურ პირველობაზე მე-5 ადგილი დაიკავა: ქართველმა მოჭიდავეებმა ზედიზედ დაჯაბნეს პოლონეთი (5:2) და სერბეთი (5:1), ხოლო გერმანიასთან 4:5 წააგეს. ბრინჯაოს გზაზე ჩვენმა გუნდმა რუმინეთისა (5:2) და იტალიის (5:3) ნაკრებები დაამარცხა, მაგრამ გადამწყვეტი შერკინება ჰოლანდიასთან დათმო (3:5). პირველ-მესამე ადგილებზე რუსეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია და გერმანია გავიდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართველმა ძიუდოისტებმა 9 მედლით 42 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ“

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲔᲑᲖᲔᲨᲘ (ᲥᲝᲯᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ) ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ 20-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝᲩᲐᲦᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ, 18-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲛᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲛᲐ.

სტარტზე მან ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო, შემდეგ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა, საბოლოოდ კი 11 შესაძლებლობიდან 8 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი კიდევ ოთხმა კონკურენტმა, მაგრამ ისინი ხომერიკს დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ. 8.5 ქულით ჩემპიონობა რუსმა ალექსანდრა მალცევსკაიამ მოიპოვა. ასევე, 8.5 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით გულრუხბეგიმ ტოხირჯონოვას (უზბეკეთი) ვერცხლის მედალი ერგო.

ᲕᲐᲟᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲐ�წᲘᲚᲓᲐ: 1. პარჰამ მაგსუდლუ (ირანი, 9.5), 2. აბხიმანი პურანიკი (ინდოეთი, 8.5), 3. სერგეი ლობანოვი (რუსეთი, 8.5)... 67. გიორგი სიბაშვილი (6 ქულა), 86. ნოე თუთისანი (5.5).

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ

ᲡᲣᲛᲝ

ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲘᲝᲙᲝᲫᲣᲜᲐᲡᲗᲐᲜ

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲛᲔ-9 ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲩᲘᲜᲝᲨᲘᲜᲘᲡ ᲨᲘᲙᲝᲜᲐᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲣᲛᲝᲘᲡᲢᲛᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ �გᲝᲠᲒᲐᲫᲔᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲐ.

კადობანში ჩაყენებული ქართველი ფალავანი იაპონელ იოკოძუნა კისენოსატოს გაეჯიბრა და მაგრადაც დაუდგა, თუმცა, ხანგრძლივი შერკინება იორიკირით დათმო.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი აკი ბაშოზე დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდებით ირჯება და თუკი მინიმალური დადებითი ბალანსი (კაჩი-კოში) მაინც ვერ დააფიქსირა, პრესტიჟულ ტიტულს დაემშვიდობება.

ახლა ქართველი სეკიტორის მაჩვენებელი 5 მოგება და 4 მარცხია, მისი მომდევნო მეტოქე კი ბრაზილიელი პირველი მაეგაშირა კაისეი იქნება, რომელსაც ჩვენებური ურთიერთშეხვედრებში 9:7-ს უგებს.

აკი ბაშოს დაუმარცხებელი ლიდერები მონღოლი იოკოძუნები ჰაკუჰო და კაკურიუ არიან, ოძეკებს — ტაკაიასუს, გოეიდოს და რიგით მაეგაშირა რიუდენს კი აქტივში 8-8 გამარჯვება აქვთ.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში კვლავ უარყოფით ბალანსზე გავიდა გაგამარუს შიკონათი ცნობილი თეიმურაზ ჯუღელი, რომელიც აკი ბაშოზე აღმოსავლეთის მე-12 განთესვით ირჯება.

შეგახსენებთ, რომ გაგამარუმ სექტემბრის სუპერტურნირზე მიჯრით 3 გამარჯვება იზეიმა, გუშინ კი ძალები აღმოსავლეთის მე-10 ნომერ ტობიძარუსთან მოსინჯა და ოკურიდაშით დამარცხდა. ქართველ გოლიათს 9 დღის თავზე 4 მოგება აქვს, მორიგი დაპირისპირება კი დასავლეთის მე-9 ნომერ სეიროსთან ელის, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც 3:5 მარცხდება.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲕᲐᲜᲫᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲐ

„ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ“ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲚᲘ�გᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ — 1:2 �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲭᲘᲐᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲓᲐᲔᲛᲣᲭᲠᲐ.

შესვენებამდე მარგველაშვილმა მარადიული ფავორიტი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, როცა ზიკაჩის მოგერიებულ ბურთს კარის ბადეში მიუჩინა ადგილი, მაგრამ მეორე ტაიმში ჯერ რეხვიაშვილმა დააღალატა ავტოგოლით პარტნიორები, ხოლო ზედ საფინალო სასტვენის წინ შენგელიამ გაიბრწყინა და „თეთრ-ლურჯებს“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ: „ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ“ — 56, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — 51, „ᲓᲘᲚᲐ“ — 42 ᲥᲣᲚᲐ.

�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲒᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲝ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲛᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ 9 ᲐᲗᲐᲡ ᲒᲣᲚᲨᲘᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲡ ᲛᲝᲣᲧᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲘᲡᲐᲓ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ ᲣᲢᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲚᲐᲓᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

ერთი შეხედვით, სტუმრები ნახევარი ძალით აპირებდნენ ბრძოლას, რადგან სერბებთან პრინციპული ბრძოლის მოგების შემდეგ შინ დატოვეს ბურუსისი და პრინტეზისი. თუ გავითვალისწინებთ სპანულისის მიერ სანაკრებო კარიერის დასრულებასა და ნბა-ს ახალი სეზონის წინ ანტეტოკუნპოს ევროპაში ჩამოუსვლელობას, ზოგმა შეიძლება მართლაც იფიქრა, რომ მეტოქე ძვირფას ქულას „გვიფეშქაშებდა“, მაგრამ...

როგორც გახსოვთ, შარშანდელი ევრობასკეტის წინ მისი ერთ-ერთი ფავორიტის სამშობლოდან აკროპოლისის თასი ჩამოვიტანეთ, რაც, ბუნებრივია, თავმოყვარეობაშელახულ ბერძენთაგან სისხლის აღებას მოითხოვდა. დაუმატეთ ამას პროფესიონალიზმი, სპორტული პრინციპების ერთგულება და მიხვდებით, რატომაც დადეს ძვლები სტუმრებმა რევანშის ასაღებად. მიაღწიეს კიდეც — 86:85.

როგორც აღმოჩნდა, არანაკლებ კვალიფიციური შემსრულებელნი ყოფილან ისინიც, ვინც მასპინძლებს შეებნენ. მეტიც — მათმა უკანახაზელებმა — ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნათლობამიღებულმა კალათესმა (31 ქულა), პაპანიკოლაუმ (15 ქულა) და სლუკასმა (14 ქულა) ურთულესი ტაქტიკური ბრძოლა მოუგეს შენგელიას (22 ქულა), ბითაძესა (17 ქულა) და შერმადინს (11 ქულა), რომლებიც ფარქვეშ დომინირებდნენ, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა „ჯვაროსანთა“ ნატურალიზებული ახალწვეული ჯენინგი, რომელმაც ჩვეული სნაიპერული თვისებები ამჯერადაც გამოამჟღავნა (17 ქულა), მაგრამ სანაძემ ღირსეულად ვერ აუბა მხარი კოლეგა-პარტნიორს (მხოლოდ 8 ქულა) და მისი ძალისხმევა წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ: �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ — ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ 112:98 (ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ), ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ — ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ 91:65.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ: �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ, ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ — 8-8, ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ — 5, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ — 3-3, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ — 2 ᲛᲝ�გᲔᲑᲐ.

3 დეკემბერს მორიგ შეხვედრას თბილისში ისრაელის ნაკრებთან გავმართავთ.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

გაუქმდება თუ არა ევროკავშირში „საათის გადაწევა“?

ახლოვდება ოქტომბერი, როცა მთელ რიგ ქვეყანაში ხდება ხოლმე ზაფხულის დროიდან ზამთრის დროზე გადასვლა, დროს ერთი საათით უკან გადასწევენ ხოლმე. მაგრამ ეს ყველას არ შეეხება. მაგალითად, საქართველოში მრავალი წელია აღარ ხდება ზაფხულის დროზე გადასვლა და, შემდეგ, შესაბამისად, ზამთრისაზე დაბრუნება. აქამდე ევროპის კავშირში ზაფხულის დროის ერთიანი პოლიტიკა მოქმედებდა — ევროპის კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ყველა წევრ ქვეყანაში, წელიწადში ორჯერ იცვლებოდა დრო. მაგრამ შესაძლოა, ამიერიდან ეს ასე აღარ იყოს.

საათის გადაწევის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს ენერგიის დაზოგვას ეხმარება. მათი თქმით, ზაფხულში დღის ხანგრძლივობას უფრო მეტი პროდუქტიულობა მოაქვს და ამცირებს საგზაო შემთხვევების რიცხვს.

აგვისტოს ბოლოს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ ევროკავშირი დაასრულებდა ერთობლივი „დროის გადაწევის“ პრაქტიკას. ეს განცხადება გაკეთდა მას მერე, რაც ევროკავშირის მასშტაბით გამოკითხვებმა აჩვენა, რომ 4,6 მილიონი მოქალაქიდან, 84 პროცენტი „საათის გადაწევის“ გაუქმების მომხრეა. იუნკერის თქმით, ეს ხალხისა და არა ბრიუსელის გადასაწყვეტია. საინტერესოა, რომ 4,6 მილიონი ადამიანიდან ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე იყო გერმანიის, ავსტრიისა და ლუქსემბურგის მოქალაქე.

საათის გადაწევას ევროკავშირი 2002 წლიდან არეგულირებს. ყოველწლიურად, მარტის ბოლო კვირიდან ოქტომბრის ბოლო კვირამდე, ევროკავშირის ქვეყნებში დრო 1 საათით გადაიწევა წინ. ამასთანავე, ევროკავშირში სამი სასაათო სარტყელია: 1. დასავლეთ-ევროპული, ანუ გრინვიჩის დრო, საიდანაც იწყება დროის უნივერსალური ათვლა; ცენტრალურ-ევროპული დრო, სადაც ევროკავშირის ყველაზე მეტი ქვეყანაა მოქცეული და აღმოსავლეთ ევროპის დრო, რომელიც ორი საათითაა წინ.

მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ამ ქმედებასთან შეგუება ბევრისთვის რთულია და შესაძლოა, გამოიწვიოს ჯანმრთელობის გრძელვადიანი ხარვეზები, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოხუცებში.

რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საათის გადაწევის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს ენერგიის დაზოგვას ეხმარება. მათი თქმით, ზაფხულში დღის ხანგრძლივობას უფრო მეტი პროდუქტიულობა მოაქვს და ამცირებს საგზაო შემთხვევების რიცხვს. თუმცა, მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, რომ ამ ქმედებასთან შეგუება ბევრისთვის რთულია. ჩატარებულმა კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ძილის უკმარისობის გარდა, ეს სამსახურში შრომისუნარიანობის დაქვეითებასაც იწვევს.

ამ ჯგუფის ყველაზე აშკარა მხარდამჭერია ფინეთი, რომელმაც მიმდინარე წლის თებერვალში წამოიწყო ლაპარაკი დროის გადაწევის გაუქმებაზე. ფინელებს არგუმენტად მოჰყავთ შემოდგომაზე დღის ნაკლებობა და თვლიან, რომ უმჯობესი იქნება ზაფხულის დროის გამოყენება შემოდგომა-ზამთარშიც.

აღსანიშნავია, რომ თვითონ გერმანიაში იგრძნობა აზრთა სხვადასხვაობა. გერმანული გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ წერს, რომ საათის გადაწევა არა მარტო პრაგმატული, არამედ ერთიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. გაზეთის აზრით, ეს არის ევროკავშირის პოლიტიკური ერთობის სიმბოლო და ასახავს ერთიანი სისტემის მუშაობას. ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხვაში ყველაზე მეტად სწორედ გერმანელები იყვნენ დროის გადაწევის გაუქმების მომხრეები.

იუნკერმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მუდმივად ზაფხულის დროს გამოიყენებს, თუმცა შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ დამოუკიდებლად შეცვალოს დრო. მის ამ გადაწყვეტილებას ბევრმა „საშიში“ პრეცედენტიც უწოდა. როგორც ავსტრიული გაზეთი „ვინერ ცაიტუნგი“ წერს, ასეთი სახის გამოკითხვების ჩატარება ინტერნეტის მეშვეობით არა მარტო უზუსტობას იწვევს, რადგან ყველა ქვეყნის აზრი თანაბარპროპორციულად კი არ არის წარმოჩენილი, არამედ, გაზეთის აზრით, ეს პრეცედენტი საშიშ შედეგებს მოიტანს, რადგან შესაძლებელი იქნება სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაც მიენდოს ინტერნეტს, სადაც თავისუფლად შესაძლებელია, რომ 2/3 გერმანელები და ავსტრიელები იყვნენ. ეს კი ევროკავშირში არსებულ პოლიტიკურ უთანასწორობას საგრძნობლად გაზრდის.

თუმცა, ამ გადაწყვეტილების განხორციელებას დრო დასჭირდება. რეალიზებისთვის აუცილებელია, რომ ევროკომისიამ მოამზადოს კანონპროექტი, სადაც გარკვევით იქნება აღწერილი მოქმედების გეგმა. ამის შემდეგ საჭიროა ამ კანონპროექტის დამტკიცება, რაც უკვე ევროპარლამენტისა და 28 წევრი ქვეყნის გადაწყვეტილებაა. მხოლოდ მას მერე გაუქმდება საათის გადაწევა.

მართალია, იუნკერმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მუდმივად ზაფხულის დროს გამოიყენებს, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ დამოუკიდებლად შეცვალოს დრო, რადგან საერთო რეგულაცია აღარ იარსებებს.

„თავისუფლება“

სოფელ რუხში მამაკაცი მოკლეს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში 35-წლამდე ასაკის მამაკაცი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლეს.

როგორც ირკვევა, კამათი ახლობლებს შორის მოხდა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

„თიბისი ბანკში“ „მოლოტოვის კოქტეილი“ შეაგდეს

„თიბისი ბანკის“ გორგასლის ფილიალში უცნობმა პირმა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი შეაგდო და ხანძარი გააჩინა. თვითმხილველის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, პოლიციამ ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა.

„შემოვიდა და დაიყვირა, „ვინც გაასწრებთ, გაიქეცითო“, დაგდო მოლოტოვის კოქტეილი და ცეცხლი გააჩინა. კლიენტებიც და ოპერატორებიც გარეთ გამოვცვივდით. სახე დაფარული ჰქონდა“, — ყვება თვითმხილველი.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა!

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თანასოფლელის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული რ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 30 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ ატენში რ.ა.-ს კონფლიქტი მოუხდა თ.კ.-სთან. აღნიშნულით განაწყენებული რ.ა. იმავე დღეს მივიდა თ.კ.-ს დედასთან ე.კ.-სთან სახლში და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მას ხის ნაჭერი რამდენჯერმე დაარტყა თავის არეში. მიღებული დაზიანებების შედეგად ე.კ. 2018 წლის 1 იანვარს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„სამართალდამცველებმა რ.ა. 2017 წლის 30 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ ატენში დააკავეს. გორის რაიონულმა სასამართლომ რ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, — აღნიშნავენ პროკურატურაში.

ოზურგეთში, ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ფილიალში, მამაკაცი გარდაიცვალა

ოზურგეთში, ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ფილიალში, მამაკაცი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი გულის შეტევა გახდა. ადგილზე კრიმინალური პოლიცია მუშაობდა. ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

◎ დიეტოლოგია

გახდომის ზომა და ფერი

ბოლოდროინდელი საერთაშორისო კვლევებით ირკვევა, რომ ჩვენი წონა არა მარტო კუჭზე, არამედ თავის ტვინზეც ყოფილა დამოკიდებული.

რაც უფრო ფართოა კაცის ნაცნობთა წრე, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ იგი ჭარბ წონას არ აკრეფს, — აცხადებენ ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები. ამის ორი მიზეზი არსებობს:

პირველი — ნაცნობ-ახლობლებთან ურთიერთობისას აქტიური საუბრის დროს, ადამიანი მაინც ხარჯავს ენერგიას, საკმაო ოდენობითაც — საათში დაახლოებით 100 კილოკალორიას;

მეორე მიზეზი ბიოქიმიურია: კომუნიკაბელური კაცის თავის ტვინი გამუდმებით ტონუსშია, თანაც ამ დროს ცხიმოვან მიმოცვლაზე პასუხისმგებელი ნეირონები აქტიურდება.

აღსანიშნავია, რომ არომათერაპიაც საკმაოდ ეფექტიანია ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისას. მაგალითად, ციტრუსოვანთა სუნი ორგანიზმის ტონუსს ამაღლებს, წიწვოვანთა — გაციებას ებრძვის, ლავანდისა — თავის ტკივილს. ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის დიეტოლოგებმა დაამტკიცეს, რომ პიტნის სუნი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას: საკმარისია ხელის მტევნის შიდა მხარეს პიტნის ზეთის რამდენიმე წვეთის დასხმა და დღის მანძილზე მისი შესუნთქვა, ან ჭამის წინ ჭიქა პიტნის ჩაის დალევა.

კვების სპეციალისტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ჩვენს წონაზე არამარტო ის მოქმედებს, თუ რას ვჭამთ, არამედ ისიც, საკვებს რა ჭურჭლიდან მივირთმევთ. თუკი ნაკლების ჭამა გინდათ, მაშინ პატარა თეფშიდან მიირთვით, რომელშიც მცირე ულუფაც დიდად გამოჩნდება. საქმე ისაა, რომ დიდი ხანია ცნობილია — დანაყრების შესახებ ვიზუალი ნიშანს ტვინი ფიზიოლოგიურზე, ანუ კუჭიდან მომავალზე, გაცილებით ადრე იღებს.

მეტიც, აღმოჩნდა, რომ მირთმეული საკვების ოდენობას არა მხოლოდ თეფშების ზომა, არამედ მათი ფერიც განსაზღვრავს. კორნელის (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ, თუ კერძის ფერი თეფშს ეხამება, შეიძლება, ადამიანმა 20 პროცენტით მეტი ულუფა მიირთვას.

დიეტოლოგთა თქმით, ყველაზე მეტად „გასახდომი“ ფერებია — ლურჯი, ცისფერი და იისფერი. კონტრასტი საჭმლისა და ჭურჭლის ფერებში კაცს ულუფის ზომაწონაზე დაკვირვებას აიძულებს. ყველაზე მეტად მადის აღმძვრელი კი სალათისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერია.

დალი ხუნდაძე

ულოცავენ

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე** და **თამაზ გოგინაშვილი** დიდი პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელს, საქართველოს დამსახურებულ ბანკირს, „საქართველოსა“ და „ვითიბი“ ბანკების ყოფილ თავკაცს, დიდებულ მამულიშვილსა და კეთილშობილ პიროვნებას, ბატონ

ჯუმბერ გონაშვილს.

განაცხადებული თაკუნა ჩარკვიანი:

შუმი ნაციონალის გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში გამინისტრების მომლოდინე

კახეთში გრ. ვაშაძესთან შეხვედრის დროს ჩაბჟირებული სიტყვის წარმოთქმისას:

— მე იმიტომ ვუჭერ ასე მხურვალედ მხარს პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატს, ნაციონალ გრიგოლ ვაშაძეს, რომ იგი ისევე თავგამოდებულად დაიცავს ჩვენს კულტურის ძეგლებს, როგორც საერთოდ მიშას დროს იცავდნენ ნაციონალები...

ხმა დარბაზიდან:

— დედაკაცო, დიდი მერაბ ბერძენიშვილის უიშვიათესი „დიდების მემორიალი“ ქუთაისში რა, ჩვენ, კახელებმა, ავაფეთქეთ?! ანდა აჭარაში, ფერიის მთაზე ეკლესია ჩვენ დავანგრიეთ?..

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

მეორე ხმა

— ნუთუ არა გრცხვენია, ჩვენი საყვარელი ჯანსუღის ქალიშვილო, მაგ სისულელეს რომ ამბობ?!

არადიპლომატიური გზავნილი გრიგოლ ვაშაძეს - პოლიტიკურ ბალერონს...

რა რძით გაგზარდეს, რა ხსენით,
რა მიწისა ხარ, რა ცისა,
რომ უდიერად ახსენე
ბადიში ნიკოლაძისა?
ქართულის - არა, რუსული
დიპლომატიის შეგირდო,
ხმის მიცემისთვის მოსული
ამას არასდროს შეგინდობს!

მეტამორფოზა!

ნაცებს ებრძოდა ყველა პარტია,
მიხოს კანდიდატს გარს ვინც არტყია
და დღეს არავის (რომ ვთქვა მარტივად),
შუბლზე ძარღვები აღარ ატყვია!

პასუხგაუცემელი კითხვა

სად გაექცევი შენს ბედისწერას,
ცხვირსახოცივით თუ იცვლი რწმენას?

ალექსანდრე შენგელია

◎ განსჯა

ქეთი მელუა „საპატიო თბილისელი“ გახდა!

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს ქეთი მელუას „საპატიო თბილისელის“ სიგელი და თბილისის სიმბოლური გასაღები გადასცა.

ქეთი მელუა მსმენელის წინაშე, დედაქალაქის მერიის პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, წარდგა. კონცერტი ევროპის მოედანზე გაიმართა და მასზე დასწრება თავისუფალი იყო. მსოფლიო მასშტაბის პოპ-ვარსკვლავმა თავის ბრიტანულ ბენდთან ერთად, ძველი და ახალი ჰიტები შეასრულა. კონცერტის მიმდინარეობისას სცენაზე დედაქალაქის მერი კახა კალაძე და მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია ავიდნენ, რომლებმაც ქეთი მელუას დაბადების დღე მიულოცეს.

დედაქალაქის მერმა ბრიტანეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს საქართველოში სტუმრობისა და თბილისის მერიის პროექტში მონაწილეობისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა. **„ძალიან მიხარია, რომ ამდენი ადამიანი შეიკრიბა. მადლობა ყველას მობრძანებისთვის, ქეთის დაფასებისთვის. მეამაყება, რომ ასეთი თანამემამულე — მსოფლიო დონის ვარსკვლავი გვყავს. ვიცი, თუ რა შრომის ფასად შეიძლება, უცხო ქვეყანაში წარმატებას მიაღწიო. ქეთი, ყველას გვეამაყები და გვიხარია, რომ ჩვენთან ერთად იმყოფები. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ „საპატიო თბილისელის“ წოდება მოგანიჭოთ“,** — მიმართა დედაქალაქის მერმა ქეთი მელუას.

კონცერტის ბოლოს მომღერალს დაბადების დღე გორის ქალთა კამერულმა გუნდმა სიმღერით მიულოცა, რის შემდეგაც საფინალოდ მათ ერთობლივად იმღერეს. ქეთი მელუა საქართველოში „თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის“ ფარგლებში იმყოფება. ბრიტანეთში მოღვაწე წარმოშობით ქართველი მუსიკოსი წლებია, ლონდონში ცხოვრობს. მუსიკალური კარიერის განმავლობაში, 2003 წლიდან, რვა სტუდიური ალბომი აქვს გამოშვებული. მისი კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით იმართება. მსოფლიოში ქეთია მელუას 11 მილიონზე მეტი დისკია გაყიდული. ის კომპოზიციებს ჯაზისა და ბლუზის სტილში ასრულებს.

კამონაბოლქვების ზიანი

ამერიკელი მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ავტომანქანების მავნე გამონაბოლქვებით გაჯერებული ჰაერი სისხლში „კარგი ქოლესტერინის“ შემცველობას აქვეითებს.

„კარგი ქოლესტერინი“ გულის სისხლძარღვთა დაავადების საფრთხეს ამცირებს. ჰაერის დაბინძურებისას კი ორგანიზმში მისი შემცველობა იკლებს. გამოკვლევაში მონაწილე 6000 საშუალო და ხნიერი ასაკის კაციდან უმრავლესობა ინტენსიური სამანქანო მოძრაობისა და ჰაერის ძლიერად დაბინძურების რაიონებში ცხოვრობდა. **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მათ, ვინც წლის განმავლობაში დიდი ოდენობით ტექნიკური ნახშირბადის ზემოქმედება განიცადეს, ორგანიზმში „კარგი ქოლესტერინის“ შემცველობა დაქვეითებული ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარები აცხადებენ, რომ ქალაქის მოსახლეობისთვის საჭიროა B-ჯგუფის ვიტამინების მიღება, რომელიც ორგანიზმისთვის მიღებული ზიანის კომპენსირებას ახდენს.**

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6128; ევრო - 3.0578;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4296;
100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.4287;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5406;
1000 სომხური დრამი - 5.3817.

ამინდი 18 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +26
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge